

*ზოგადი წინადადება შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველი ეროვნული მექანიზმის წარმოებაშია 4 საქმე, რომლებიც საქართველოს საჯარო სკოლებში არსებულ ეთნო-რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევებსა და არატოლერანტულ გარემოს შეეხება. სახალხო დამცველი შეისწავლის სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის თ. ბ.-ს (რომელსაც, თავის მხრივ, ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და ააიპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ წარმოადგენს) განცხადება, რომელიც შეეხება სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლისთვის სკოლაში ქალის ტრადიციული ისლამური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების სავარაუდო აკრძალვის ფაქტს. ამასთან, სახალხო დამცველის წარმოებაშია ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“ 3 განცხადება, რომელიც ეხება სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლას, ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლასა და თბილისის 158-ე საჯარო სკოლასთან დაკავშირებულ ფაქტებს.

წინამდებარე ზოგადი წინადადებით, სახალხო დამცველი შეაფასებს სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში მომხდარ ინციდენტს, ასევე, საქართველოში საჯარო სკოლებში მუსლიმი მოსწავლეების უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი კონტექსტის გააზრების მიზნით, განიხილავს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლას, ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლასა და თბილისის 158-ე საჯარო სკოლასთან დაკავშირებულ ფაქტებს.

### **ფაქტობრივი გარემოებები**

#### **1.1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლა**

როგორც უკვე აღნიშნა საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაშია ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“-ს 2016 წლის 29 დეკემბრის N16610/16 და ააიპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ 2017 წლის 13 იანვრის N575/17 განცხადებები, რომლითაც სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო

სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის, 18 წლის თ. ბ.-ს ინტერესებს წარმოადგენენ. განცხადებები შეეხება 2016 წლის 22 დეკემბერს მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ამავე სკოლის მოსწავლე თ. ბ.-სათვის ქალის ტრადიციული ისლამური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების სავარაუდო აკრძალვას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი მოხე უმეტესად ისლამური და მართლმადიდებლური თემის წარმომადგენელი ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული. გარდა ამისა, ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა რელიგიური დაპირისპირების შემთხვევებს, რომლებიც, ძირითადად, ამ სოფელში მუსლიმური სალოცავის გახსნას უკავშირდებოდა.

ზემოაღნიშნული რელიგიური დაპირისპირების შემთხვევები არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის შესწავლის და შესაბამისი რეკომენდაციების საგანი. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ ომბუდსმენი 2014 წლიდან შეისწავლის ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე სადავო ნაგებობის საკითხს და გამოვლენილი შეუწყნარებლობის ფაქტებს. სოფელ მოხეს მუსლიმი თემი წლებია ითხოვს ამავე სოფელში მდებარე ნაგებობის (მუსლიმი თემის განცხადებით, ისტორიული მეჩეთის) მათთვის გადაცემას. მიუხედავად ამისა, 2014 წლის სექტემბერში მუნიციპალიტეტმა შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და მისი ბიბლიოთეკად გადაკეთების თაობაზე ტენდერი გამოაცხადა. სამუშაოების დაწყებას ადგილობრივი მუსლიმი თემის მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა. ამავდროულად ნაგებობაზე პრეტენზია განაცხადა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც და მოტივად მეჩეთის მშენებლობაში, იმავე ტერიტორიაზე მანამდე არსებული მართლმადიდებლური ტაძრის ქვების გამოყენება დაასახელა.<sup>1</sup>

მართალია პროცესი დროებით შეჩერდა, თუმცა 2014 წლის 22 ოქტომბერს, საპოლიციო ოპერაციის ფონზე, გადაწყვეტილების აღსრულება დაიგეგმა. საპროტესტო აქციაზე პოლიციამ 14 მუსლიმი პირი დააკავა. დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცველები მათ სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ და „თათრებს“ უწოდებდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები 2014 წლის 22 ოქტომბერსვე გაეცნენ დაკავებულთა გარეგნული დათვალერების ოქმებს, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ მათ ფიზიკური დაზიანებები მართლაც აღენიშნებოდათ.

გარდა ამისა, 2015 წლის 19 ნოემბერს სოფელ მოხეს მუსლიმთა თემმა განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს (განცხადებას ხელს 92 პირი აწერდა), რომელშიც ისინი საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან, პრეზიდენტისგან და პარლამენტის თავმჯდომარისგან სოფელ

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ.: 488.  
ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>

მოხეში მდებარე მუსლიმური სამლოცველოს დროული დაბრუნების პროცესის ხელშეწყობას ითხოვდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ მოხეში მომხდარ დაპირისპირებებში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მართლმადიდებელი თემიც. სოფელ მოხეში მომხდარი რელიგიური დაპირისპირება უარყოფითად აისახა ამ სოფლის საჯარო სკოლაში არსებულ გარემოზე. კერძოდ, არაერთ ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ **სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი ნ. რ.** საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს მუსლიმური სამლოცველოს გახსნის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში და გამოირჩევა ისლამოფობური გამონათქვამებით.<sup>2</sup> მხედველობაშია მისაღები, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის (რომლის მოსწავლეთა 90 პროცენტს მუსლიმები წარმოადგენენ) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად 2016 წლის სექტემბერს, სწორედ ნ. რ. დაინიშნა. გასათვალისწინებელია, რომ 2016 წლის მაისამდე სკოლას მუსლიმი დირექტორი ხელმძღვანელობდა, რომელიც თანამდებობიდან იქნა განთავისუფლებული. დირექტორის განთავისუფლების შემდეგ, მის მოვალეობას დირექტორის მოადგილე, ასევე მუსლიმი თემის წარმომადგენელი ასრულებდა, რომელიც, თავის მხრივ, 2016 წლის სექტემბერში დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლით შეიცვალა.

როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველი განიხილავს ორ განცხადებას, რომელიც შეეხება სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში მოსწავლისთვის მუსლიმური თავსაბურავის ტარების აკრძალვას. როგორც განცხადებებშია აღნიშნული, 2016 წლის 22 დეკემბერს სოფელი მოხეს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეს თ. ბ.-ს სკოლის დირექტორი ნ. რ. საჯარო სკოლაში ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების დაუშვებლობაზე ესაუბრა და თავსაფრის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში სკოლაში მის ჩარიცხვასთან დაკავშირებით პრობლემების შექმნის თაობაზე მიანიშნა. აღსანიშნავია, რომ თ. ბ. იყო პირველი გოგონა, რომელმაც გადაწყვიტა სკოლაში ჰიჯაბი ეტარებინა.

ეს ინციდენტი საზოგადოებისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც თ. ბ.-ს თანაკლასელებმა ინფორმაცია სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელეს. 22 დეკემბრის ინციდენტის გამო, 23–27 დეკემბერს თ. ბ.-ს თანაკლასელებმა სკოლასთან გამართეს საპროტესტო აქცია, რომლითაც მოითხოვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების ჩამოსვლას სოფელ მოხეში და სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან განთავისუფლებას. ამასთან, თ. ბ.-ს სოლიდარობის ნიშნად, სკოლის სხვა მოსწავლე გოგონებმაც გაიკეთეს თავსაბურავი.

2016 წლის 23 დეკემბერს, ზემოაღნიშნული ინფორმაციის მედია საშუალებებით გავრცელების და საპროტესტო გამოსვლის შემდეგ, დირექტორი გაესაუბრა თ. ბ.-ს და მის

<sup>2</sup> <https://www.youtube.com/watch?v=PPulcnUo7ds> ; <https://www.youtube.com/watch?v=ZukYaLDPUGI> .

დედას და მათ აჩვენა ბრძანება, რომლითაც დასტურდებოდა რომ მოსწავლე სკოლაში ჯერ კიდევ 22 დეკემბერს იქნა ჩარიცხული.

საპროტესტო გამოსვლები დასრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოფელ მოხეში ჩავიდნენ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლა აღნიშნული საქმე და დაასკვნა, რომ კონკრეტულ საკითხზე (იგულისხმება ჰიჯაბის ტარება) გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს სკოლის უფლებამოსილებას. ამასთან, შიდა აუდიტის დეპარტამენტის აზრით, სკოლამ გადაწყვეტილება, ჩაცმის წესთან დაკავშირებული რეგულაციების დადგენის ან რეგულაციებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, უნდა მიიღოს შესაბამისი სკოლის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესების მაქსიმალური დაცვით, მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის შესაბამისად და სასკოლო სივრცეში მყოფ პირთა შორის რელიგიური ან სხვა ნიშნით კონფლიქტისა და შუღლის განმაპირობებელი გამონაკლისების დაშვების გარეშე.

### ***1.2. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა***

2016 წლის 4 მაისს, სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს მომართა ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა - EMC“ 46029/16 განცხადებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში 2012 წლის ოქტომბერ–ნოემბრის, ამავე სოფელში მუსლიმური სამლოცველოს გახსნასთან დაკავშირებული დაპირისპირება საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის შესწავლის საგანიც იყო, რაზეც შესაბამისი რეკომენდაციაც მომზადდა. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს 2012 წლის 2 ნოემბერს წარუდგინეს ნიგვზიანში მცხოვრებ აჭარელ მუსლიმთა ერთობლივი ახსნა–განმარტება, რომელსაც 26 პირი აწერდა ხელს. 2012 წლის 2 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, მუსლიმები მათ ახსნა–განმარტებაში, მათ შორის, აღნიშნავდნენ, რომ სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში, სადაც მუსლიმი თემის განცხადებით, მათი შვილები სწავლობენ, სავარაუდოდ, მასწავლებლების ინიციატივით მოხდა სასწავლო პროცესის შეწყვეტა და მაღალი კლასის მოსწავლეების სადავო სამლოცველოსთან მობილიზება.

იგივე შემთხვევაზეა საუბარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე, ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“ (შემდგომში EMC) მიერ, 2016 წლის 27 აპრილს შეტანილ განცხადებაში, რომლის მეორე ადრესატს საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს და რომელიც ამ ზოგადი წინადადების მომზადების ერთ–ერთი საფუძველია. როგორც EMC–ს განცხადებაშია აღნიშნული, ნიგვზიანის სკოლის ადმინისტრაციის არასათანადო მიდგომის გამო, 2012 წლის 2 ნოემბერს სამლოცველოს გარშემო მიმდინარე დაპირისპირებაში მონაწილეობა, მათ შორის, სკოლის მუსლიმმა მოსწავლეებმაც მიიღეს. განცხადების შესაბამისად, მუსლიმი მოსწავლეები დაპირისპირების დროს „...სკანდირებდნენ, რომ ერთად დგომა სურდათ და არ

უნდოდით მეჩეთი სოფელში,“ რაც მუსლიმი მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა.

ის გარემოება, რომ სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, რაღაც ფორმით, ჩართულნი იყვნენ მუსლიმური სამლოცველოს გარშემო არსებულ დაპირისპირებაში, კარგად ჩანს 2012 წლის 2 ნოემბრის ინციდენტის ამსახველ, საინფორმაციო სააგენტო ინფო-9-ის ვიდეო ჩანაწერში, სადაც ერთ-ერთი მასწავლებელი ამბობს, რომ მოსწავლეებს ერთად დგომა სურთ და რომ მათ ისინი ვერ შეაჩერეს.<sup>3</sup> მხედველობაშია აგრეთვე მისაღები საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, რომლის თანახმად, 2012 წლის 26 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს „...ადგილი ჰქონდა მუსლიმი ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარებსაც.“<sup>4</sup>

საჯარო სკოლის მოსწავლეების და, მათ შორის, მუსლიმ მოსწავლეთა იძულება, მონაწილეობა მიეღოთ ზემოაღნიშნულ ინციდენტში და დაპირისპირებოდნენ საკუთარ მშობლებს, თუ ასეთ შემთხვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, წარმოადგენს სახელმწიფოს და კერძოდ, საჯარო სკოლის რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულების მნიშვნელოვან დარღვევას, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც თავად მოსწავლეთა რელიგიურ თავისუფლებას, ისე მათი მშობლების უფლებას აღზარდონ შვილები საკუთარი მსოფლმხედველობისა და მრწამსის შესაბამისად.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“ 2016 წლის 27 აპრილის განცხადების თანახმად, იგი შეისწავლის საჯარო სკოლებში ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და დისკრიმინაციის პრაქტიკებს და სახელმწიფოს პოლიტიკას ამ სფეროში. 2016 წლის მარტს EMC-მ გამოიკვლია სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანის საჯარო სკოლაში არსებული მდგომარეობა. კვლევის ფარგლებში მოხდა ამ საჯარო სკოლის მასწავლებლების გამოკითხვაც, რამაც, EMC-ს განცხადებით, გამოავლინა მასწავლებელთა მკვეთრად „ისლამოფობური“ და არატოლერანტული განწყობები, რომლებიც, განმცხადებლის აზრით, „...აცდენილია ისტორიის, პოლიტიკის თანამედროვე ინტერპრეტაციებს და ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიის კულტივირებას ახდენს,“ რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სკოლაში მუსლიმი მოსწავლეების უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მართალია 2012 წლის დაპირისპირების შემდეგ სოფელ ნიგვზიანში ძალადობის და შეუწყნარებლობის ფაქტები აღარ გამოვლენილა და მუსლიმი თემი ახერხებს რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას, განცხადების თანახმად, ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის გაუცხოება და ნდობის არარსებობა კვლავ პრობლემურია, რაც ასევე აისახება სკოლაში არსებულ მდგომარეობაზე.

<sup>3</sup> <http://www.youtube.com/watch?v=BooFrPXeOho>

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ.: 521.

როგორც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“ 2016 წლის 27 აპრილის განცხადებაშია აღნიშნული, მუსლიმი მშობლები კვლავ საუბრობენ სკოლაში რელიგიური ნიშნით არსებულ დისკრიმინაციის ფაქტებსა და არატოლერანტულ გარემოზე და ამ მხრივ, სკოლის ადმინისტრაციის უმოქმედობაზე.

სახალხო დამცველის სახელზე შემოტანილ განცხადებაში ჩამოთვლილია შემდეგი ძირითადი პრობლემები: კერძოდ, მოსწავლეებში ძალადობრივი და აგრესიული განწყობის ზრდის ტენდენცია, რის პრევენციასა და პრობლემებზე ეფექტურ რეაგირებას სკოლის ადმინისტრაცია ვერ ახდენს; მუსლიმი მოსწავლეების მიმართ სხვა მოსწავლეების მხრიდან ისეთ შეურაცხმყოფელ მიმართვებზე, როგორიცაა „თათარი“, მასწავლებლების და ადმინისტრაციის უმოქმედობა და სრული პასიურობა მსგავსი შემთხვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით; არამუსლიმი მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ ნიგვზიანის მეჩეთთან მოქმედი პანსიონის მოსწავლეთა სტიგმატიზაცია. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ სოფელში მუსლიმებით მჭიდროდ დასახლებულ უბანში არ ხორციელდება სკოლის ავტობუსის მომსახურება, რის გამოც, მოსწავლეებს 3 კილომეტრის ფეხით გავლა უწევთ.

როგორც განცხადებიდან ირკვევა, მუსლიმი მშობლები ასევე მიუთითებენ, შეფასების დროს, მასწავლებლების მიერ მათი შვილების შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის, ისევე, როგორც სხვადასხვა საგნების სწავლების პროცესში ინდოქტრინაციის, რელიგიური უმცირესობების მიმართ ნეგატიური და სტერეოტიპული დამოკიდებულების თაობაზე. განმცხადებელი ასევე ასახელებს ისეთ პრაქტიკას, როგორიცაა მოსწავლეების ექსკურსიაზე მხოლოდ ქრისტიანულ ტაძრებში ტარება და მუსლიმური კულტურისა და ისტორიის იგნორირება, სასკოლო ღონისძიებების ფარგლებში რელიგიური შინაარსის სიმბოლოების არაკადემიური მიზნით გამოყენება; აგრეთვე, მასწავლებლების მიერ, მათ შორის, მუსლიმი მოსწავლეებისათვის სხვადასხვა ქრისტიანული ლიტერატურის იძულებით გაზიარების შემთხვევებს.

### ***1.3. ქალაქ თბილისის 158-ე საჯარო სკოლა***

2015 წლის 16 იანვარს, სახალხო დამცველს N594/15 განცხადებით მომართა ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა – EMC“-მ. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა სსიპ – ქალაქ თბილისის N158 საჯარო სკოლაში რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევისა და სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების შესახებ.

განცხადებიდან ირკვევა, რომ EMC-მ ანალოგიური შინაარსის განცხადებით 2015 წლის 13 იანვარს ასევე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს და მოითხოვა შეესწავლა ზემოაღნიშნული ფაქტები. განცხადების თანახმად, სკოლის მოსწავლეთა 30 პროცენტს ეთნიკურად აზერბაიჯანელები შეადგენენ. გარდა ამისა, სკოლაში ასევე სწავლობს 20-მდე აჭარელი მუსლიმი, რომელთა მიმართაც,

EMC-ს განცხადებით, მასწავლებლების აგრესია განსაკუთრებით ძლიერია სწორედ მათი რელიგიური იდენტობის გამო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის სახელზე შეტანილ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ EMC-ს წყაროს თანახმად, ზემოაღნიშნულ სკოლაში მასწავლებლები ერთმანეთისგან განასხვავებენ ქართველ და არაქართველ მოსწავლეებს და არ ერიდებიან ისეთ გამონათქვამებს, როგორებიცაა „მუსლიმები“ (დისკრიმინაციულ კონოტაციაში) , „წავიდნენ აქედან“, „ქართველების მიწას ვერ იყოფენ“, „რა უნდათ აქ“ და ა.შ.

განცხადების თანახმად, ქართველ და აზერბაიჯანელ მოსწავლეებს შორის მცირე ინციდენტის შემთხვევაშიც კი, მასწავლებლები „ცალსახად ქართველების მხარეს იჭერენ და მათ პოზიციას იზიარებენ.“ ამიტომ, განმცხადებელი ვარაუდობს, რომ მასწავლებელთა ასეთ დამოკიდებულებას არა მხოლოდ გაკვეთილების გარეთ, არამედ, უშუალოდ გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესშიც უნდა ჰქონდეს ადგილი, რის გამოც, მოსწავლეები მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ არიან. EMC-ს განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა გულგრილი დამოკიდებულების გამო, ზოგადად, **სკოლაში დაბალია მუსლიმი ბავშვების აკადემიური მოსწრების დონეც.**

როგორ განმცხადებელი აღნიშნავს, სკოლის კლასების ინფრასტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს რელიგიურ კუთხეებს, ხატებს, ჯვრებს, წმინდანთა გამოსახულებებს. EMC-ს წყაროს განცხადებით, „ზოგიერთ კლასში იმდენი ხატია განთავსებული, რომ სასულიერო პირსაც, რომელიც სკოლის დასალოცად იყო მოსული, გაუკვირდა, სკოლა არის, თუ ეკლესიაო.“ ამასთან, EMC-ს თანახმად, ყოველ დილით მასწავლებლები გაკვეთილებს იწყებენ საკმევლის ანთებით. „აღნიშნულ მასწავლებლებს საკუთარ თავზე აქვთ აღებული ინდოქტრინაციის ფუნქცია და ცდილობენ მართლმადიდებლობა თავს მოახვიონ მუსლიმ მოსწავლეებს“.

განმცხადებლის თანახმად, სკოლაში ხდება სასულიერო პირების ვიზიტები სკოლის დასალოცად, ისევე, როგორც პირველ კლასელთა ეკლესიაში დალოცვის რიტუალი, რასაც ტრადიციის ფორმა აქვს. სკოლიდან ექსკურსიები კი, ძირითადად, მართლმადიდებლურ ტაძრებში ეწყობა.

EMC ასევე ყურადღებას ამახვილებს მუსლიმი ბავშვების მიერ ადრეულ ასაკში სკოლისთვის თავის დანებების პრობლემაზე, რასაც, ძირითადად, მუსლიმ გოგონათა ადრეულ ასაკში ქორწინება განაპირობებს. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის ერთერთი საფუძველი, მათ შორის, სწორედ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა აბსოლუტური გულგრილობაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი – EMC“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისგან მოითხოვა, რომ მას საფუძვლიანად

შეესწავლა განცხადებაში აღნიშნული ფაქტები და უზრუნველყო: რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურაში რელიგიური ატრიბუტიკის არააკადემიური მიზნების გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და სეკულარული გარემოს შექმნა; სასკოლო საათების დროს რელიგიურ რიტუალში სკოლის მოსწავლეების, ასევე ქრისტიანულ რიტუალებში არაქრისტიანი მოსწავლეების მონაწილეობის სავარაუდო ფაქტების შეფასება, დისციპლინური წარმოების დაწყება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება; სკოლისთვის ზოგადი რეკომენდაციის გაცემა, სეკულარული, ტოლერანტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნის მიზნით, მათ შორის, ისლამის პოზიტიური წარმოჩინების ხელშეწყობა; ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების პრევენციისთვის სკოლის მიერ პროაქტიური ღონისძიებების გატარების მიზნით მისთვის რეკომენდაციის მიცემა; აზერბაიჯანელი მოსწავლეების განათლების დაბალი დონის გათვალისწინებით, სპეციალური ზომების მიღება ქართული ენის სწავლების, განათლების მიღების ხელშეწყობისა და ინტეგრაციის მიზნით; ასევე, სკოლის მოსწავლეთა „შერეული კომპოზიციის“ გათვალისწინებით, 158-ე სკოლის მასწავლებლებისთვის და პრიორიტეტული წესით ტრენინგების ჩატარება ტოლერანტობისა და მულტიკულტურალიზმის საკითხებში.

#### **1.4. ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა**

2015 წლის 27 მარტს სახალხო დამცველის აპარატს N3553/15 განცხადებით მომართა ააიპ „ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრმა - EMC“. განცხადება შეეხებოდა, 2014 წლის ივნისის დასაწყისში, იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ, რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული საპროტესტო აქციის დროს მომხდარ ფაქტებს. კერძოდ, განმცხადებლის მიერ მოწოდებულ და სახალხო დამცველის მიერ მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ აქციაზე იმყოფებოდნენ სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ხელში ეჭირათ საპროტესტო ბანერები (მაგ. „შეაჩერეთ ანტიმართლმადიდებლური მშენებლობა!!!“). მსგავსი შინაარსის მქონე აქციებს აქტიურად ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ მოპოვებული ვიდეო მასალა ცხაყოფს, რომ აქციაზე აქტიურად გამოიყენებოდა სიძულვილის და მუქარის ენა: „მშენებლობა დაიწყეს ამ სექტანტებმა,“ „არსებობს ბრძანება ამ რასელისტების ბუდის მშენებლობის შეჩერებაზე“, „პარლამენტარებმა მიიღეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ... და ამით თავი გაუტოლეს მამათმავლობას“, „როდესაც ხელისუფლება იელოველების, რასელისტების ბუდეს აშენებინებს“, „იყო მართლმადიდებელი და იყო ქართველი ნიშნავს თუ აუცილებელია, შეეწირო ამ ორ სიტყვას,“ „მამათმავლების მხარდამჭერი ორივე მთავრობა,“ „ვინც სექტანტების ბუდის მშენებლობას ხელს მოაწერს ის არის ფარისეველი,“ „ან მოქცეულიყვნენ ან გაქცეულიყვნენ“.

EMC-ს მიერ მომზადდა კითხვარი, რომლის მიზანიც, საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის, რელიგიური



ნეიტრალიტეტის დარღვევისა და შეუწყნარებლობის ფაქტების გამოვლენა იყო. კვლევაში ანონიმურად მიიღეს მონაწილეობა მოსწავლეებმა და მათთან პირდაპირი ნათესაური ან სხვა სახის კავშირის მქონე პირებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს, კერძოდ, გამოიკითხნენ იეჰოვას მოწმეები, სახარების რწმენის ეკლესიის აღმსარებლები, პროტესტანტები, და მუსლიმები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სკოლებში ხშირია *რელიგიური ატრიბუტიკის სარიტუალო და არაკადემიური მიზნებისათვის გამოყენება, გაკვეთილების მიმდინარეობისას ლოცვების კოლექტიური კითხვა და გალობა, სასულიერო პირების მოწვევა, გაკვეთილის დაწყებამდე ლოცვის კითხვა, ეკლესიაში ჯგუფური ვიზიტები საზიარებლად, მასწავლებელთა მხრიდან ქრისტიანობის ქადაგება, სხვა რელიგიური ჯგუფების დაცინვა, შეურაცხყოფა და მუქარა*, რაც მუდმივი სტრესისა და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფებს განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის თუ მსოფლმხედველობის მქონე მოსწავლეებს, რომელთაც, ხშირად, საკუთარი რელიგიური იდენტობის გამჟღავნებისაც კი ეშინიათ.

### 1. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განხილულ განცხადებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები შესაძლოა განაპირობებდეს დისკრიმინაციის წახალისებას მუსულმანი მოსწავლეების მიმართ, რამაც შესაძლოა უარყოფითი ეფექტი იქონიოს მათ მიერ ერთი მხრივ განათლების უფლებით, მეორე მხრივ კი რელიგიის თავისუფლებით სარგებლობისას.

როგორც განსახილველი განცხადებების შინაარსიდან ირკვევა, საქმე ზოგადი განათლების უფლებით სარგებლობის ფარგლებში მოსწავლეთა რელიგიური თავისუფლების და საკუთარი რელიგიური იდენტობის გამოხატვის უფლების უზრუნველყოფის საკითხს შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ რწმენაზე დაფუძნებული ქმედება, მამასადამე, მისი გამოხატვა შესაძლოა გასცდეს უშუალოდ მხოლოდ რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროს და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა უფლებების, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, განათლების თავისუფლების, შეკრების თავისუფლების რეალიზაციას გულისხმობდეს.<sup>5</sup> ამიტომ, რელიგიური თვითგამოხატვა და საკუთარი რწმენის შესაბამისად ცხოვრება,

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/477 II. 15.

ხშირად, საკმაოდ მჭიდროდაა გადაჯაჭვული, მათ შორის, ისეთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ღირებულებებთან, როგორებიცაა გამოხატვის და განათლების თავისუფლება. აქედან გამომდინარე, შესაბამისი უფლებების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები, ასევე 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლებიც ადამიანის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის, ისევე, როგორც გამოხატვის თავისუფლებას და განათლების მიღების საყოველთაო უფლებას განსაზღვრავენ.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე საუბრისას, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას“ და აღიარებს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა განსაზღვრავს საქართველოს, როგორც საერო სახელმწიფოს სტატუსს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტის და ეკლესიებისა თუ აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპის დაცვას ავალდებულებს.<sup>6</sup>

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებას კი, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი ადგენს, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ისევე, როგორც მისი იძულება გამოთქვას შეხედულება მათ შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, კონსტიტუციის იგივე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომლის თანახმად, **დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.**

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი.<sup>7</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, რწმენის თავისუფლება ერთგვარად მსოფლმხედველობის თავისუფლებაა, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, წარმოდგენების და შეხედულებების,

<sup>6</sup> ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები – იურიდიული სახელმძღვანელო. კონსტანტინე კუბლაშვილი. თბილისი 2017 წელი. გვ.: 135–136.

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/477 II. 5.

ამასთან შესაძლებლობების შესაბამისად, ქმნის ადამიანის „მე“-ს, მის შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას. ამიტომაც ამ თავისუფლებაში უხეში, გადამეტებული ჩარევა, ისეთი მოპყრობა, რომელიც იწვევს ადამიანის აზროვნების წესის შეცვლას, იწვევს მის სულიერ ტანჯვას.<sup>8</sup>

საყურადღებოა, რომ „რწმენის“ ან „რელიგიის“ ცნებათა ზუსტი დეფინიცია საკმაოდ რთულია, თუ შეუძლებელი არა, რაც, თავის მხრივ, მისი ფართოდ განმარტების ტენდენციას განაპირობებს. ასე, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თავისუფლების შეფასების ზოგადი კრიტერიუმების, უნივერსალური მიდგომების ჩამოყალიბების მცდელობამ შესაძლოა თავად უფლება დააზარალოს. უფლება, რომლის შინაარსი ადამიანის გრძნობებსა და აზროვნების პროცესზეა დამოკიდებული, რაც მუდმივი განვითარებისა და გაფართოების პროცესს ნიშნავს, შეუძლებელია სრულად ხელშესახები და ამომწურავად კონკრეტული იყოს.<sup>9</sup>

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რწმენის თავისუფლება ძალზე დიდ გავლენას ახდენს დემოკრატიულ საზოგადოებაზე, რადგან ის საკუთარი (ამასთან, ერთმანეთისგან განსხვავებული) რწმენის შესაბამისად ჩამოყალიბებული, თავისუფლად თვითრეალიზებული ადამიანებისაგან შედგება. ეს უფლება მოიცავს რა კონკრეტული რწმენის სხვადასხვა შინაარსითა და ფორმით *მანიფესტაციას – მის გამოხატვას*, ის პოტენციურად ძალიან დიდი შესაძლებლობის მატარებელია, გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე, განსაზღვროს საზოგადოების განწყობები. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს, რადგან პლურალიზმი ზოგადად და, მათ შორის, რელიგიური (ან სხვა შინაარსის რწმენის განვითარების თვალსაზრისით) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.<sup>10</sup>

ამდენად, ეს უფლება, აუცილებელი და არსებითად განმსაზღვრელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობის, განვითარებისა და თვითრეალიზაციისთვის. აქედან გამომდინარე, იგი, როგორც მინიმუმ, მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას, რაც რწმენის თავისუფლების თითოეულ სუბიექტს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი თავისუფლება შეზღუდოს

---

<sup>8</sup> იქვე. II. 6.

<sup>9</sup> იქვე. II. 9.

<sup>10</sup> იქვე. II. 7.

სხვათა ასეთივე თავისუფლებით – ეს არის რწმენის ფუნდამენტური თავისუფლების თანმდევი ვალდებულება.<sup>11</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული რწმენის თავისუფლება, თავისი ყველაზე საწყისი გაგებით, გულისხმობს, სახელმწიფოსაგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისდამი მიკუთვნებას (*პოზიტიური თავისუფლება*), ან უარყოფას, შეცვლას (*ნეგატიური თავისუფლება*), ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს (*forum internum*) დაცვას. *ამ დონეზე რწმენის თავისუფლების დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება გამოიხატოს ადამიანზე იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედებით, დაშინებით, რათა იძულებით უარი თქვას კონკრეტულ რწმენაზე, შეიცვალოს ის და გაიზიაროს სხვა რწმენა.*<sup>12</sup>

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც, მაშასადამე, რწმენის შესაბამისად მოქმედების სფეროს (*forum externum*). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რწმენის თავისუფლება არარეალური და არარეალიზებადი იქნება მის შესაბამისად *ადამიანების კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე*. უფლებას შინაარსი გამოეცლება, თუ მისი ნაწილი არ იქნება კონკრეტული რწმენის საფუძველზე და მის შესაბამისად განხორციელებული ქმედება, ეს პრაქტიკულად ამ უფლების უარყოფამდე მიგვიყვანს, რადგან რწმენის მხოლოდ ქონა არაფერს იძლევა თავად ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობის თვალსაზრისით. თუ არ არის გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.<sup>13</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას, რეგულირებას კი, მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმებს უქვემდებარებს. ამასთან ერთად, ადამიანის თავისუფლება, საკუთარი ცხოვრება წარმართოს მისი რწმენის შესაბამისად, კონსტიტუციის იგივე მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით, *მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს.*<sup>14</sup>

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, „დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ ერთსა და იმავე მოსახლეობაში, შესაძლოა აუცილებელი იყოს შეზღუდვების დაწესება (რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე) ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეთანხმებისა და ყველას რელიგიური რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით (*Kokkinakis v. Greece, 260-A*

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე. II. 12.

<sup>13</sup> იქვე. II. 13.

<sup>14</sup> იქვე. II. 14.

*Eur.Ct. H. R. (ser.A) 1993*“. თუმცა, პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი *რწმენის საწინააღმდეგოდ*, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა რწმენის უარყოფის ეკვივალენტი იყოს და ამიტომ ამგვარი შეზღუდვისას, სახელმწიფო ძალიან ახლოს დგას რწმენის თავისუფლების შინაგან სფეროში (*forum internum*) ჩარევასთან. შესაბამისად, სახელმწიფომ რწმენის კონკრეტული გამოვლენის უარყოფის იძულებით, შეიძლება გავლენა თავად შინაგან მრწამსზე მოახდინოს.<sup>15</sup>

ნებისმიერი რწმენა და მის შესაბამისად ცხოვრება, სწორედ კონკრეტული გამოვლინებებით რეალიზდება, ამიტომ, თუ პირი იძულებული იქნება მათზე უარი თქვას, *ის ვერც კონკრეტული რწმენის მიმდევარი იქნება*. როდესაც კონკრეტული შინაარსის რწმენა დაცულია რწმენის თავისუფლებით და იმავდროულად მასში ხდება ისეთი ინტენსიური და უხეში ჩარევა, რაც ამ რწმენაზე უარის თქმის ტოლფასი ხდება, ეს ჩარევა შეიძლება შეფასდეს როგორც უფლების შინაგან, ხელშეუხებელ სფეროში ჩარევა.<sup>16</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რწმენის თავისუფლება, ყველაზე ხშირად კონკურირებადია სხვა ადამიანების ამავე თავისუფლებასთან, ისევე, როგორც სხვა უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან. ამიტომ, ერთი მხრივ, რწმენის თავისუფლების აღიარება, მისი სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფა და მეორე მხრივ, ამ თავისუფლებით ეფექტურად სარგებლობა, სხვათა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითა და პატივისცემით, ერთნაირად წარმოადგენს გამოწვევას სახელმწიფოს, ადამიანების და მთლიანად საზოგადოებისათვის. ამ ვითარებაში, სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს არა პლურალიზმის გამორიცხვის მეშვეობით სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა შორის არსებული წინააღმდეგობების მიზეზების აღმოფხვრაში, არამედ, დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ურთიერთთმენისა და შემწყნარებლური გარემოს უზრუნველყოფაში.<sup>17</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის *შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი*. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი. გარდა ამისა, რწმენის თავისუფლება ერთგვარად *მსოფლმხედველობრივი თავისუფლებაა*, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, წარმოდგენების და შეხედულებების, ამასთან შესაძლებლობების შესაბამისად, ქმნის ადამიანის „მე“-ს, მის

<sup>15</sup> იქვე, II. 58.

<sup>16</sup> იქვე, II. 59.

<sup>17</sup> ECtHR, *Serif v. Greece*, no. 38178/97, § 53

შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას.

ამასთან, რწმენის თავისუფლება ძალზე დიდ გავლენას ახდენს დემოკრატიულ საზოგადოებაზე, რადგან ის საკუთარი რწმენის შესაბამისად ჩამოყალიბებული, თავისუფლად თვით-რეალიზებადი ადამიანებისაგან შედგება. ეს უფლება, მოიცავს რა კონკრეტული რწმენის სხვადასხვა შინაარსითა და ფორმით *მანიფესტაციას – მის გამოხატვას*, ის პოტენციურად ძალიან დიდი შესაძლებლობის მატარებელია, გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე, განსაზღვროს საზოგადოების განწყობები. *ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, განსაზღვრავს რა ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებას, წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საყრდენს, ვინაიდან დემოკრატიულ საზოგადოებას შინაარსს სწორედ მისი წევრები – სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე თავისუფალი ადამიანები სძენენ.*

აქედან გამომდინარე, დემოკრატია და რწმენის თავისუფლება არ უნდა იყოს ერთმანეთთან შეუთავსებელი სიკეთეები. პირიქით, დემოკრატია შეუძლია შექმნას საუკეთესო გარემო რწმენისა და სინდისის თავისუფლებისთვის, რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფის მეშვეობით. თავის მხრივ, მისი მორალური და ეთიკური ვალდებულებებით, მოვლენათა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით, კულტურული გამოხატვის ფორმებითა და ზოგადად ღირებულებათა სისტემის მეშვეობით, ადამიანთა რწმენის თავისუფლებას შეუძლია იყოს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი და მისი უმნიშვნელოვანესი საყრდენი. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, აღმსარებლობასა და რწმენასთან მიმართებით, სახელმწიფო ვალდებულია იყოს *ნეიტრალური და მიუკერძოებელი*, რაც სრულიად შეუთავსებელია მისი მხრიდან კონკრეტული *რელიგიების ლეგიტიმურობის შეფასების უფლებამოსილებასთან*.<sup>18</sup>

დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების იმგვარი განმარტება, რომლიც საკუთარი რელიგიური შეხედულებების გავრცელების მიზნით, სხვა ადამიანებზე ზეწოლის შესაძლებლობას უშვებს. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, ხელისუფლების როლი მდგომარეობს არა პლურალიზმის გამორიცხვის მეშვეობით, რელიგიურ წინააღმდეგობათა მიზეზების აღმოფხვრაში, არამედ, იმის უზრუნველყოფაში, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლური განწყობა დამკვიდრდეს. სახელმწიფოს ეს ფუნქცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რელიგიური მშვიდობისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>19</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველი განცხადებები ძირითადად ზოგადი განათლების უფლებით სარგებლობის ფარგლებში მოსწავლეთა რელიგიური თავისუფლებისა და

<sup>18</sup> <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=261>

<sup>19</sup> იქვე.

საკუთარი რელიგიური იდენტობის გამოხატვის უფლების უზრუნველყოფის საკითხს შეეხება. ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან ერთად, მხედველობაშია მისაღები კონსტიტუციის 35-ე მუხლიც, რომელიც *განათლების მიღების საყოველთაო უფლებას* განსაზღვრავს. განათლების და კერძოდ, ზოგადი განათლების საყოველთაო უფლების შინაარსს, მის მიზანს და მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად *განავითაროს თავისი პიროვნება* და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის #84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ამსახველი დოკუმენტის შესაბამისად, ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები *ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების* ჩამოყალიბებისათვის. გარდა ამისა, განათლების სისტემა მოზარდს უვითარებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს *ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი როლის გაცნობიერებაში.*

განხილული ნორმატიული დებულებების შინაარსიდან ირკვევა, რომ განათლება და კერძოდ, ზოგადი განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ სუბიექტურ უფლებას, არამედ, ასევე უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, ერთგვარ საჯარო ინტერესს, რაც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების არსებობაში *თავისუფალი პიროვნების* განსაკუთრებული როლითა და ფუნქციით არის განპირობებული.

ამრიგად, ზოგად განათლებას ადამიანის *პიროვნული განვითარებისა* და თანამედროვე საზოგადოების არსებობისათვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გააჩნია, კერძოდ, მოზარდ თაობას გადასცეს საზოგადოებაში დაგროვებული გამოცდილება და *სხვადასხვა ადამიანებსა თუ ჯგუფებს შორის თანაცხოვრების წესების ცოდნა*. ზუსტად სკოლაში, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთგვარ მიკრო მოდელში მოსწავლე არა მხოლოდ თეორიულად ეუფლება ინფორმაციასა და თანაცხოვრების წესების ცოდნას, არამედ, თანატოლებთან ერთად ითვისებს მათ და იყენებს კონკრეტულ ურთიერთობებში, ახდენს მათ ინტერნალიზაციას, იძენს ფუნქციურ ცოდნას; სწორედ ბავშვის ცხოვრების ამ ეტაპზე ხდება მისი იმ *შეხედულებებისა და ღირებულებების ფორმირება*,<sup>20</sup> რომლებიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენენ.

<sup>20</sup> „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 5

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე განათლების სისტემის მიზანს, არა ადამიანთა მსოფლმხედველობრივი, მათ შორის, რელიგიური განსხვავებების გათანაბრება და მათი ასიმილაცია, არამედ, სწორედ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან, ადამიანის პიროვნების თავისუფალი და მრავალმხრივი განვითარების შემაფერხებელი ამგვარი იძულებითი გათანაბრება თანასწორობის სამართლებრივ პრინციპთან თავად მოვიდოდა წინააღმდეგობაში.

ამრიგად, ზოგად განათლებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია მოზარდის შეხედულებების და ღირებულებების ფორმირების თვალსაზრისით. სწორედ სკოლამ, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთგვარმა მიკრო მოდელმა მოსწავლეს უნდა გაუჩინოს, მათ შორის, ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ მსოფლიოში ორიენტაციისა და ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს. ამიტომ, სასკოლო განათლება ეფექტურია, თუ იგი მოსწავლეს, მათ შორის, განსხვავებულის მიმღებლობას უვითარებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, ასევე საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციად სწორედ სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციას განსაზღვრავს, რომელიც სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას გულისხმობს, როგორცაა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმა ინდივიდუალურად არ განსაზღვრავს მულტიკულტურული განათლების ცნებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასახელებულ დებულებაში, მათ შორის, ესეც უნდა მოვიანროთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მულტიკულტურულ სასკოლო განათლებას, საკმაოდ სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. კერძოდ, მულტიკულტურული განათლება არ არის მხოლოდ განსხვავებული ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებისა და სტუდენტების თანაცხოვრების ხელშეწყობა ან მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებაში მათი დახმარება. ეს შეიძლება იყოს მულტიკულტურული განათლების შედეგები, მაგრამ არა მისი პირველადი მიზანი. ***მულტიკულტურული განათლების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს საკუთარი პოტენციალიდან გამომდინარე, ყველა მოსწავლის განათლებასა და აკადემიურ მიღწევებს,<sup>21</sup>***

<sup>21</sup> ინტერ-კულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე. კვლევის ანგარიში. თბილისი 2013 ავტორები: შალვა ტაბატაძე ნათია გორგაძე. გვ: 28–29.



რისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლას და პედაგოგებს, რომლებიც მულტიკულტურულ საზოგადოებაში ასწავლიან, შესწევდეთ უნარი პრობლემა სხვა კულტურის წარმომადგენლის პერსპექტივიდანაც დაინახონ. ამგვარი უნარის არ არსებობა ეწინააღმდეგება თანამედროვე სასკოლო განათლების არსს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერ-კულტურული განათლება უმნიშვნელოვანესია 21-ე საუკუნეში, ვინაიდან განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც პასუხი გლობალიზაციის პროცესზე, 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, არამედ სამთავრობო სტრუქტურებისთვისაც. გლობალიზაციის პროცესი, საბაზრო ეკონომიკა და კონკურენტული ბაზრის პირობები განათლების ინტერნაციონალიზაციის მთავარი ფაქტორებია. ასეთ ვითარებაში საგანმანათლებლო სისტემისა და დაწესებულებების სოციალური პასუხისმგებლობაა, შექმნან ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მოამზადებს კონკურენტუნარიან პიროვნებას საერთაშორისო შრომით ბაზარზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც მზად იქნება იცხოვროს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან მსოფლიოში და იმუშაოს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან შრომით დაწესებულებებში.<sup>22</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ის, რომ ბავშვის აღზრდა არ უკავშირდება მხოლოდ მის ფორმალურ განათლებას. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ძირითადად სამი ინსტიტუტი მონაწილეობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია ოჯახს, როგორც პირადი ფასეულობების ინსტიტუციონალიზაციის ნიმუშს, მეორე ადგილზეა სახელმწიფო, რომელიც საზოგადო ფასეულობათა ინსტიტუციონალიზაციის მაგალითია, ხოლო მესამეზე კი - სკოლა, რომელიც წარმოადგენს საზოგადო და პირადი ფასეულობებისა და ინსტიტუტების გაერთიანებას ოპტიმიზაციის პრინციპით ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირად და საზოგადო ინტერესთა ერთობლიობას.<sup>23</sup> ამიტომ, ოჯახი, სკოლა და საზოგადოება გავლენის ურთიერთ შემავსებელი სფეროებია. ეს ის სამი სოციალური სფეროა, რომელშიც ბავშვი იზრდება და ვითარდება. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სამი სფეროს თანამშრომლობა, რომლის ცენტრალური ფიგურაც მოსწავლე – ბავშვი უნდა იყოს.<sup>24</sup>

ზემოაღნიშნულზე მიუთითებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკაც. კერძოდ, როგორც სასამართლომ განაცხადა, „...განათლების და სწავლების სფეროში პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება) წარმოადგენს ევროკონვენციის მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლება) *lex specialis* - ს.“<sup>25</sup>

<sup>22</sup> იქვე, გვ.: 7.

<sup>23</sup> <http://mastsavlebeli.ge/?p=2061>

<sup>24</sup> „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 37.

<sup>25</sup> ECtHR, *Lautsi and Others v. Italy*, no. 30814/06, §59.

ევროსასამართლოს განცხადებით, ზემოაღნიშნული აქტუალურია „... მინიმუმ იმ შემთხვევაში, როცა დავა შეეხება წევრი სახელმწიფოსთვის მეორე მუხლის მეორე წინადადებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, რაც გამოიხატება მშობელთათვის მათი უფლების განხორციელების შესაძლებლობის მიცემაში, უზრუნველყონ მათი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისი განათლება და სწავლება.“<sup>26</sup>

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, სახელმწიფოებს აქვთ სხვადასხვა რელიგიების, რწმენის და მრწამსის განხორციელებისას *ნეიტრალიტეტის* და *მიუკერძოებლობის* უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნული როლი მიზნად ისახავს საჯარო წესრიგის უზრუნველყოფას, რელიგიურ ჰარმონიას და მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის ტოლერანტობის უზრუნველყოფას დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხილეთ, მაგალითად *Leyla Şahin v. Turkey* [GC], no. 44774/98, § 107, ECHR 2005-XI).<sup>27</sup>

*უნდა აღნიშნოს, რომ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის სიტყვა „პატივს სცემს“; ევროსასამართლოს განმარტებით, გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე „გაცნობიერებას“ ან „მხედველობაში მიღებას“; ამიტომ, ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, იგი ასევე სახელმწიფოს გარკვეულ პოზიტიურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.“<sup>28</sup>*

პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიზანია დაიცვას საგანმანათლებლო პროცესში პლურალიზმის შესაძლებლობა. სწავლებისას და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ კურუკულუმში არსებული ინფორმაციის ან ცოდნის *ობიექტური, კრიტიკული* და *პლურალისტური* სახით გადმოცემა, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს განავითარონ კრიტიკული აზროვნება, განსაკუთრებით, *რელიგიური თვალსაზრისით მშვიდ გარემოში, ყოველგვარი პროზელიტიზმის გარეშე*. სახელმწიფოს ეკრძალება იმგვარი ინდოქტრინაციის განხორციელება, რომელიც არ ითვალისწინებს მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენას. ევროპული სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული წარმოადგენს ზღვარს, რომელიც სახელმწიფოებმა არ უნდა გადალახონ.<sup>29</sup>

მათ შორის, სწორედ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპს ასახავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, რომელიც მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის რწმენის თავისუფლებას განსაზღვრავს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, *მოსწავლეს, მშობელს* და *მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით* აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, რომელიც დაცულია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებით; აგრეთვე,

<sup>26</sup> ECtHR, *Folgerø and Others v. Norway*, no. 15472/02, § 84, 2007 VIII, § 84

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე. აბზ.: 61.

<sup>29</sup> იქვე. აბზ.: 62.

ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს ასევე *აღმსარებლობის*, მაშასადამე, ადამიანის მიერ საკუთარი რწმენის შესაბამისად ცხოვრებისა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით ქმედების თავისუფლებას.<sup>30</sup>

საჯარო სკოლებში რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას კიდევ უფრო მეტად ამყარებს იგივე კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, *თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.*

ამდენად, სკოლა, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთგვარი მიკრო მოდელი, ერთ მხრივ, სათანადოდ უნდა ასახავდეს იმ საზოგადო და პირად ფასეულობებსა თუ ინსტიტუტებს, რომელთა პირობებშიც მოსწავლეს მოუწევს ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იცავდეს მოსწავლის ინდივიდუალურ რწმენას, მისი და მისი მშობლების მსოფლმხედველობას. ეს აუცილებელია, ვინაიდან, როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, სკოლა არ უნდა იყოს ჩაკეტილი სივრცე, რომელშიც სარწმუნოებრივ პლურალიზმზე თვალები დახუჭული და ამით, საზოგადოებრივი რეალობა დახურული იქნება. მეტიც, იგივე გადაწყვეტილების თანახმად, სასკოლო განათლების მიზანი უმეტესად იმაში მდგომარეობს, რომ მოზარდები რეალურ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მოამზადდნენ.<sup>31</sup> ამდენად, სკოლა წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მას, ყველაფერთან ერთად, რელიგიური პლურალიზმის მიმღებლობის უნარი შესწევს.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, კონკრეტულ რწმენაზე დაფუძნებული ქმედება, მაშასადამე, მისი გამოხატვა შესაძლოა გასცდეს უშუალოდ, მხოლოდ რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროს და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა უფლებების, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, განათლების თავისუფლების,

---

<sup>30</sup> ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები – იურიდიული სახელმძღვანელო. კონსტანტინე კუბლაშვილი. თბილისი 2017 წელი. გვ.: 138.

<sup>31</sup> 2BvR1436/02. Urteil des Zweiten Senats vom 24. September 2003. ხელმისაწვდომია:

[https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924\\_2bvr143602.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924_2bvr143602.html)

შეკრების თავისუფლების და ა.შ. რეალიზაციას გულისხმობდეს.<sup>32</sup> ამიტომ, რელიგიური თვითგამოხატვა და საკუთარი რწმენის შესაბამისად ცხოვრება, ხშირად, საკმაოდ მჭიდროდაა გადაჯაჭვული, მათ შორის, ისეთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ გარანტიებთან, როგორებიცაა *გამოხატვის* და *განათლების თავისუფლება*. ასე, მაგალითად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და მე-15 მუხლები, შესაბამისად, განსაზღვრავენ სკოლის ფარგლებში მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის *გამოხატვისა* და *შეკრების თავისუფლებას*, ხოლო მე-16 მუხლი კი, უზრუნველყოფს მათ *გაერთიანების თავისუფლებას*. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია და შესაბამისი კანონმდებლობა მოსწავლესა და მშობელს, სასკოლო განათლების ფარგლებში, საკმარისად აღჭურავს იმგვარი უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც აუცილებელია ამ პროცესის მონაწილეთა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფისათვის.

გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით უზრუნველყოფილია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომლის თანახმად, მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავის პირად ცხოვრებაზე. უნდა ითქვას, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადამიანის რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რაც მას სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ აქცევს. შესაბამისად, სასკოლო განათლების პროცესი იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი მაქსიმალურად დაიცვას, მათ შორის, საკუთარი რელიგიური იდენტობის გასაჯაროების იძულებისაგან, მაშინ, როდესაც მათ ამის სურვილი არ გააჩნიათ. ეს საკანონმდებლო ნორმა უნდა გაანალიზდეს, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის პერსპექტივიდან, რომლის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, სასკოლო განათლების პროცესის ფარგლებშიც, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია დაექვემდებაროს გარკვეულ

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/477, II. 15.

რეგულირებას, მათ შორის, სწორედ მოსწავლეთა რწმენის თავისუფლების პატივისცემის და განათლების უფლებით სათანადოდ სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზნის განსახორციელებლად კი, პირველ რიგში, აუცილებელია რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალური და მიუკერძოებელი სასკოლო პროცესის ორგანიზება, რომელიც ნებისმიერი რწმენის მქონე მოსწავლეს, თანაბრად, დისკრიმინაციის ყოველგვარი განცდის გარეშე უზრუნველყოფს სათანადო ზოგადი განათლებით.

ასე, მაგალითად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროს ნეიტრალურობას და დისკრიმინაციის აკრძალვას. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის *რელიგიური ინდოქტრინაციის, პროპაგანდის ან იმპულსებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება*. ამასთან, ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. ეს საკმაოდ საინტერესო მითითებაა, რომელიც, ერთი მხრივ, აღიარებს რელიგიური რწმენის არსებობის ფაქტს და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს საჯარო სკოლის რელიგიურ ნეიტრალურობას. სწორედ ამგვარ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, მათ შორის, იგივე მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმად, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება.

მხედველობაშია მისაღები ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებაც, რომლითაც დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ამასთან ერთად, მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, *როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირის და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას*.

გარდა ამის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი *სკოლას ავალდებულებს დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. მე-7 პუნქტით კი, სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლებას ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.*

ზემოაღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საქმე რელიგიური, ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით არაერთგვაროვან საზოგადოებას შეეხება. როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რელიგიური თვალსაზრისით რაც უფრო მრავალფეროვანია საზოგადოება, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური ნეიტრალურობის ვალდებულებას.<sup>33</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო სკოლა, რელიგიურ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობასთან ერთად, ასევე უნდა წარმოადგენდეს იმ სივრცეს, რომელშიც სხვადასხვა რელიგიის, ეთნოსების და კულტურის წარმომადგენლები მშვიდობიან თანაცხოვრებას, თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემას და ერთმანეთის მიმდებლობას შეძლებენ.

ამასთან, ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად, ბავშვის განათლება, მათ შორის, უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის, მშვიდობის, შემწყნარებლობის, სქესთა თანასწორობის, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მეგობრობის და მსგავსი ფასეულობების სწავლებას.

კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, ჩამოაყალიბონ ბავშვის ინტერესებზე მორგებული განათლების სისტემა, უზრუნველყონ მათთვის ყველა საჭირო უნარის გამომუშავება და სასწავლო პროცესში დაიცვან ადამიანის უფლებები.<sup>34</sup> უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებები თავიდანვე უნდა ჩაენერგოთ ბავშვებს, რადგან სწორედ ბავშვებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ და გააერთიანონ ის ხალხები, რომლებიც ერთმანეთს ისტორიული მოვლენების გამო დაშორდნენ.<sup>35</sup> სკოლაში უნდა იყოს

<sup>33</sup> 2BvR1436/02. Urteil des Zweiten Senats vom 24. September 2003. ხელმისაწვდომია:

[https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924\\_2bvr143602.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924_2bvr143602.html)

<sup>34</sup> Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 2

<sup>35</sup> Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 4

ჰუმანური ატმოსფერო, რომელიც ბავშვს საშუალებას აძლევს, განავითაროს მისი შესაძლებლობები.<sup>36</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ ერთსა და იმავე საზოგადოებრივ სივრცეში, შესაძლოა აუცილებელი გახდეს გარკვეული რეგულაციების დაწესება (რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე) ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეთანხმებისა და ყველას რელიგიური რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ, კვლავ აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

ზუსტად ზემოაღნიშნული კონსტიტუციურ ინტერესს ემსახურება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისი დებულებები. დასახელებული მუხლი წარმოადგენს ამ კანონის II თავის<sup>37</sup> პირველ ნორმას, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ამავე თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით სარგებლობის უფლებას.

დასახელებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე, ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა; ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა; უხამსობის ან ცილისწამების გავრცელებისა, *ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივებისა*, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა; სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების ხელის შეშლისა.

ამასთან ერთად, იგივე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ *მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით*. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში კანონი შესაბამისი უფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ *დადგენილი წესის საფუძველზე, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით*. გარდა ამისა,

<sup>36</sup> Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 12

<sup>37</sup> აღნიშნული თავით განსაზღვრულია ზოგადი განათების სფეროში მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს *გონივრული*, დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება, რომელიც უფლების შეზღუდვაში გამოიხატება – ამ მიზნის *პროპორციული*, ხოლო უფლების შეზღუდვა კი – *მინიმალური*. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ის ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნები, რომელთა პერსპექტივიდანაც უნდა შეფასდეს ნებისმიერი უფლების შეზღუდვის სამართლებრივი მიზანშეწონილობა.

საკმაოდ მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტიც. მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია. ამასთან, ნებისმიერი შეზღუდვა ან რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ადგილის, დროის და ფორმის ისეთ ნეიტრალურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან *გამომხატველობით ეფექტზე* და *ტოვებენ ალტერნატიული გზებით მათი განხორციელების ეფექტიან შესაძლებლობას*. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლების შეზღუდვა, მისი რეგულირება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ მე-6 პუნქტის თანახმად, ამ კანონით აღიარებული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას მათი კანონიერება ივარაუდება, რა დროსაც, მათ შესახებ წარმოშობილი დავისას, ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უკანონობის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომელსაც ზოგადი განათლების სფეროში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ნებისმიერი უფლების სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობის მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე, მაშასადამე, საჯარო სკოლაზე გადააქვს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლამ უნდა ამტკიცოს, რომ უფლების შეზღუდვის თაობაზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო *გონივრული, პროპორციული*, ხოლო უფლების შეზღუდვა კი – *მინიმალური*.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე წარდგენილი განცხადებების შინაარსიდან ირკვევა, ისინი, ძირითადად შეეხება, ზოგადი განათლების უფლების რეალიზაციის ფარგლებში რელიგიური იდენტობის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის სავარაუდო შეზღუდვის, ასევე, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით მოსწავლეთა დისკრიმინაციის და სასკოლო განათლების პროცესის ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს.

იმისათვის, რომ სათანადოდ გაანალიზდეს შესაბამის განცხადებებში აღწერილი შემთხვევები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად შევაფასოთ ზემოთ



განხილულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

## **2.1. სოფელ მოხეს საჯარო სკოლა**

როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამის განცხადებებში სადავოდ არის გამხდარი რელიგიური კუთვნილების გამომხატველი, ქალის ტრადიციული ისლამური თავსაბურავის – ჰიჯაბის ტარების სავარაუდო აკრძალვის ფაქტი. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ევროპის არაერთ სახელმწიფოში დაისვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰიჯაბის ტარების სამართლებრივი მიზანშეწონილობის საკითხი და მისი შესაბამისობა სახელმწიფო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპთან. ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში ეს საკითხი სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში საკმაოდ მწვავედ დაისვა, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უფრო გულმოდგინედ და დეტალურად შეისწავლოს, როგორც კონკრეტულად ეს საკითხი, ისე, ზოგადად, სასკოლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეებისა და მშობლების რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათდამი ერთგვაროვანი მიდგომის და სწორი პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში ჰიჯაბის ტარების სავარაუდო აკრძალვის ფაქტი ასევე შეისწავლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა. საქართველოს სახალხო დამცველის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, 2017 წლის 15 მარტს წარმოადგინა სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესწავლის საფუძველზე შედგენილი დასკვნა.

როგორც დასკვნაშია აღნიშნული, სკოლის მოქმედი შინაგანაწესის მე-40 მუხლი ცალსახად არ ადგენს სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლის მიერ თავსაფრის ტარების უფლებას ან აკრძალვას. ამასთან, შიდა აუდიტის დეპარტამენტი მიუთითებს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულია რწმენის თავისუფლება, რაც სკოლის შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს კანონით დადგენილი წესით აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება. ამავე მუხლით, დასკვნის შესაბამისად, დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ უშლის ეროვნული სასაწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასკვნის, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლება არ შეზღუდულა თ. ბ.-ს შემთხვევაში, რადგან 2016 წლის 22 დეკემბრამდე იგი არ იყო ამ სკოლის მოსწავლე, ხოლო 2016 წლის 22 დეკემბრის შემდგომ პერიოდში,

ინსპექტირების ჩატარების ჩათვლით (2017 წლის 18 იანვარი), თავსაფრით ცხადდებოდა არა მხოლოდ თ. ბ., არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებიც.

გარდა ამისა, დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, არ დასტურდება თ. ბ.-ს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რადგან დისკრიმინაცია (პირდაპირი) გულისხმობს ისეთ მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე დაცული (მათ შორის რელიგიური) ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ პირობებში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. მოცემულ შემთხვევაში, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ აშკარად რელიგიური შინაარსის მატარებელი თავსაფრის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა ფაქტიურად ვრცელდებოდა სკოლის ყველა მოსწავლეზე. ამასთან ერთად, თ. ბ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეუფერხებლად სარგებლობდა განათლების უფლებით, რაც, შიდა აუდიტის დეპარტამენტის აზრით, გამორიცხავს მისდამი დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, შიდა აუდიტის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ სკოლის მოქმედი შინაგანაწესის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით აკრძალულია მოსწავლის სკოლაში გამოცხადება შეღებილი თმით, ხოლო რელიგიური მნიშვნელობის მატარებელი თავსაბურავი (ჰიჯაბი), რომელსაც სკოლის მოსწავლეები იყენებენ, შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, მოსწავლე სკოლაში ყოფნის დროს იცავს თუ არა შინაგანაწესის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

რაც შეეხება ზოგადად სასკოლო დროს თავსაბურავის ტარების მიზანშეწონილობის საკითხს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ სკოლის შინაგანაწესი, რომლის დამტკიცებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფორმით მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები, ცალკე მუხლის სახით ითვალისწინებს მოსწავლის ჩაცმულობის წესს, სკოლა უფლებამოსილია, კანონმდებლობის შესაბამისად, თავის შინაგანაწესში გაითვალისწინოს სამოსთან დაკავშირებული რეგულაციები.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ „... სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლისათვის გათვალისწინებული უფლებები, კონკრეტული საფუძვლების არსებობისას და კანონისმიერი მიზნებისათვის, შესაძლოა შეიზღუდოს ადმინისტრაციის მიერ. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი სკოლას უფლებას აძლევს დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების

არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისკენ ან ძალადობისკენ წაქეზებისა.“

გარდა ამისა, როგორც დასკვნაშია მითითებული, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ აკრძალულია ამავე კანონით განსაზღვრული უფლებებით ისე სარგებლობა, რომ იგი მიზნად ისახავდეს ან იწვევდეს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის (მათ შორის რელიგიური) მქონე პირებს ან პირთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებას. სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა განმარტებებიდან იკვეთება, რომ სასკოლო სივრცეში (და არამხოლოდ) მყოფ პირთა ნაწილი, თავსაფრის თემას უკავშირებს სასკოლო სივრცის გარეთ მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის საკითხს. შესაბამისად, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და რაიმე ნიშნით დაპირისპირების გარეშე წარმართვის უზრუნველსაყოფად, სკოლა, შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნით, უფლებამოსილი იყო ემსჯელა და კანონით გათვალისწინებული წესით **დაედგინა დაპირისპირების გამომწვევი შესაძლო მიზეზების შემზღუდველი ნორმები და შინაგანაწესის რეგულაციებს დაქვემდებარებული პირებისათვის ამ შეზღუდვების დაცვა მოეთხოვა.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მოქმედი სამართლებრივი აქტების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დაასკვნა, რომ კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს სკოლის უფლებამოსილებას, ამასთან, სკოლამ გადაწყვეტილება ჩაცმის წესთან დაკავშირებული რეგულაციების დადგენის ან რეგულაციებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, უნდა მიიღოს შესაბამისი სკოლის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესების მაქსიმალური დაცვით, მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესების შესაბამისად და სასკოლო სივრცეში მყოფ პირთა შორის რელიგიური ან სხვა ნიშნით კონფლიქტისა და შუღლის განმაპირობებელი გამონაკლისების დაშვების გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2017 წლის 13 მარტს, სოფელ მოხეში ვიზიტისას, გამოკითხეს 2016 წლის 22 დეკემბრის ინციდენტთან კავშირის მქონე თითქმის ყველა პირი. კერძოდ, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. რ., კლასის დამრიგებელი ნ. ნ., განმცხადებელი თ. ბ. და მისი თანაკლასელები. გამოკითხვის, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის მიცემული ახსნა-განმარტებების და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, სადავო არ არის ის, რომ საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და თ. ბ.-ს შორის მართლაც შედგა საუბარი, რა დროსაც ნ. რ.-მ მოსწავლისაგან მოითხოვა ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარებაზე უარის თქმა. ასევე სადავოდ არაა გამხდარი ის ფაქტი, რომ 2016 წლის 23

დეკემბერს დირექტორთან შეხვედრამდე, თ. ბ. და მისი მშობელი სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე, რომელიც წინა დღეს დილით განხორციელდა, არ იყვნენ ინფორმირებულნი. მამასადაც, მიუხედავად იმისა, სკოლის დირექტორმა სკოლაში ჩარიცხვის სანაცვლოდ, მართლაც წაუყენა თუ არა განმცხადებელს ჰიჯაბის ტარებაზე უარის თქმის მოთხოვნა, რეალურად არსებობდა იმის მაღალი ალბათობა, რომ თ. ბ.-ს გასჩენოდა განცდა, თითქოს იგი იდგა ერთგვარი ალტერნატივის წინაშე, ან საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ემოქმედა, ან მას სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნებოდა.

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, როგორც შესაბამისი ახსნა-განმარტებებიდან და საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, თ. ბ. სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში გაკვეთილებს 2016 წლის 16 დეკემბრიდან ესწრებოდა. მთელი ეს პერიოდი იგი ატარებდა ჰიჯაბს, თუმცა, დირექტორის მიერ ჰიჯაბის ტარებაზე უარის თქმის მოთხოვნა, მხოლოდ 22 დეკემბერს განხორციელდა, როდესაც, განმცხადებლის ინფორმაციით, უნდა გადაწყვეტილიყო მისი სკოლაში ჩარიცხვის საკითხი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე სკოლაში უკვე ჩარიცხული იყო, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან საუბრისას, რომელიც იმავე დღეს – 22 დეკემბერს შედგა, არც თვითონ ნ. რ.-მ და არც კლასის დამრიგებელმა თ. ბ.-ს არ შეატყობინეს ინფორმაცია მისი სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე. ის, რომ 22 დეკემბერს კლასის დამრიგებელი ნ. ნ. მართლაც საქმის კურსში იყო მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე, დასტურდება სკოლის იმდროინდელი საქმისმწარმოებლის განმარტებითაც, რომელიც მან შიდა აუდიტის დეპარტამენტს მისცა. ყოველივე ეს კი, ბადებს ეჭვს, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ, სკოლაში ჩარიცხვის საკითხი, შესაძლოა, მართლაც ყოფილიყო განმცხადებელზე ზეწოლის მიზნით გამოყენებული.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ბ.-ს რეალურად ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ მისი სკოლაში ჩარიცხვის საკითხის დადებითად გადაწყვეტა სწორედ ჰიჯაბის ტარებაზე უარის თქმას უკავშირდება, რაც, ბუნებრივია, განმცხადებელს გაუჩენდა მისდამი დისკრიმინაციული მოპყრობის განცდას. ამგვარი განცდის არსებობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ როდესაც თ. კლასში დაბრუნდა, იგი საკმაოდ შეწუხებული იყო, რითიც თანაკლასელთა და მასწავლებლის ყურადღება მიიქცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავი, რომელსაც განმცხადებელი ატარებს, წარმოადგენს ნიშანს, რომელიც შესაბამისი ადამიანის ისლამური თემისადმი კუთვნილებას და მის რელიგიურ იდენტობას გამოხატავს. ამდენად, ჰიჯაბის ტარება, არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ, როგორც უბრალოდ ჩაცმულობის ერთგვარი ფორმა. შესაბამისად, ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა კანონმდებლობის თუ სკოლის შინაგანაწესის მხოლოდ იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც სკოლაში ჩაცმულობის წესს განსაზღვრავენ, დააკნინებდა ამ საკითხის სამართლებრივ მნიშვნელობას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სასკოლო

პროცესის მონაწილეთა სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს განსაზღვრავს.

როგორც ზემოთ განხილული, სასკოლო განათლების ფარგლებში მოსწავლეთა უფლებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმებიდან იკვეთება, სასკოლო პროცესის ფარგლებში სრულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მოსწავლის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, რაც, თავის მხრივ, ასევე მოიცავს მოსწავლის უფლებას გამოხატოს საკუთარი რელიგიური იდენტობა და იცხოვროს მისი რწმენით დადგენილი წესების შესაბამისად. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, რომელიც სასკოლო პროცესის ფარგლებში მოსწავლის რწმენის თავისუფლებას უზრუნველყოფს, ასევე განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას და სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დონის დაძლევას.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე: ჯანმრთელობის, სიცოცხლის და საკუთრების უსაფრთხოებისა; ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა; უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა; სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.

ამასთან ერთად, იგივე მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს **გონივრული, პროპორციული, მინიმალური** და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, **ჯეროვანი** და **სამართლიანი პროცედურით**. გარდა ამისა, მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია.

ამ უკანასკნელი საკანონმდებლო დებულების თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე არაერთხელ აღნიშნული პოზიცია, რომლის მიხედვით, ნებისმიერი რწმენა და მის შესაბამისად ცხოვრება, ზუსტად მისი კონკრეტული გამოვლინებებით რეალიზდება, ამიტომ, თუ პირი იძულებული იქნება მათზე

უარი თქვას, ის ვერც კონკრეტული რწმენის მიმდევარი იქნება. როდესაც კონკრეტული შინაარსის რწმენა დაცულია რწმენის თავისუფლებით და იმავდროულად მასში ხდება ისეთი ინტენსიური და უხეში ჩარევა, რაც ამ რწმენაზე უარის თქმის ტოლფასი ხდება, ეს ჩარევა შეიძლება შეფასდეს, როგორც უფლების შინაგან სფეროში ჩარევა.<sup>38</sup>

უნდა აღნიშნოს, რომ მორწმუნე მუსლიმისთვის ქალის ტრადიციული თავსაბურავი (ჰიჯაბი) წარმოადგენს ამ რელიგიისადმი კუთვნილების, მაშასადამე ამ ადამიანის რელიგიური და კულტურული იდენტობის გამომხატველ უმნიშვნელოვანეს ნიშანს. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დასახელებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, სკოლის მასწავლებლისთვის ჰიჯაბის ტარების აკრძალვა გერმანიის ძირითად კანონთან (კონსტიტუციასთან) შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლის დავალებულება სკოლაში და გაკვეთილის დროს უარი ეთქვა მისი რელიგიით დადგენილი ჩაცმის წესზე, წარმოადგენდა მის რწმენის თავისუფლებაში ჩარევას,<sup>39</sup> რომ არაფერი ვთქვათ სკოლის მოსწავლის შესაბამის თავისუფლებაზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მასწავლებლის მიერ ჰიჯაბის ტარება, მოსწავლეებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, განასხვავა მის მიერვე არაკონსტიტუციურად ცნობილი წესისგან, რომლის მიხედვით საჯარო სკოლის კლასებში წარმოდგენილი იყო ჯვარცმის გამოსახულებები. განსხვავება სასამართლომ დაინახა სწორედ იმაში, რომ სასკოლო სივრცეში წარმოდგენილი ჯვარცმისგან განსხვავებით, მასწავლებლის მიერ ჰიჯაბის ტარება მხოლოდ ამ ადამიანის კონკრეტული რელიგიისადმი კუთვნილებას გამოხატავდა და ამდენად, არ იყო მიმართული სხვებზე და პირველ რიგში, სკოლის მოსწავლეებზე ზეგავლენის მოხდენისკენ.

გარდა ამისა, მორწმუნე მუსლიმ ქალთა ნაწილისთვის ჰიჯაბი წარმოადგენს საკუთარი იდენტობის გამომხატველ მნიშვნელოვან ნიშანს, რომელზე უარის თქმაც, ეწინააღმდეგება ისლამის წესებს და შესაბამის ადამიანში იწვევს განცდას, რომ იგი საკუთარი რელიგიის წინააღმდეგ მოქმედებს, უარყოფს მას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლისთვის, ჰიჯაბის ტარებაზე უარის თქმა, თავისი შინაარსით, საკუთარ რელიგიურ იდენტობაზე და, მაშასადამე, აღმსარებლობაზე უარის თქმის ტოლფასიც კი შეიძლება იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნას, რომლითაც ჰიჯაბის ტარების აკრძალვა, მათ შორის, სკოლის მიერ ჩაცმის მარეგულირებელი წესების დადგენის უფლებამოსილების ფარგლებშია მოაზრებული.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/477, II. 59.

<sup>39</sup> 2BvR1436/02. Urteil des Zweiten Senats vom 24. September 2003. ხელმისაწვდომია:

[https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924\\_2bvr143602.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2003/09/rs20030924_2bvr143602.html)

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაშია აღნიშნული, სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა განმარტებებიდან იკვეთება, რომ სასკოლო სივრცეში *(და არამხოლოდ)* მყოფ პირთა ნაწილი, თავსაფრის ტარების თემას უკავშირებს სასკოლო სივრცის გარეთ მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის საკითხს. შესაბამისად, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასკვნის, რომ „სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და რაიმე ნიშნით დაპირისპირების გარეშე წარმართვის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია იმსჯელოს და კანონით დადგენილი *წესით დაადგინოს დაპირისპირების გამომწვევი შესაძლო მიზეზების შემზღუდველი ნორმები და მოსთხოვოს შინაგანაწესის რეგულაციებს დაქვემდებარებულ პირებს ამ შემზღუდვის დაცვა.*“

ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლამ უნდა ამტკიცოს, რომ ნებისმიერი უფლების და მათ შორის, რელიგიური გამოხატვის თავისუფლების შემზღუდვის თაობაზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო *გონივრული, პროპორციული*, ხოლო უფლების შემზღუდვა კი – *მინიმალური*. გარდა ამისა, უფლების შემზღუდვა დასაშვებია მხოლოდ *დადგენილი წესის საფუძველზე, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით*.

ამრიგად, იმისათვის, რომ გაირკვეს სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოთხოვნის სამართლებრივი მიზანშეწონილობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ის ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც შესაბამისი უფლების შემზღუდვის მოთხოვნა ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე გარემოება. კერძოდ, როგორც შესაბამისი ახსნა–განმარტებებიდან ირკვევა და როგორც ამას თავად დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განმარტავს, მის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო, ანუ საჯარო სკოლის სივრცეში რელიგიური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა.

ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასევე მიუთითებს რამდენიმე დამატებით მიზანზე. კერძოდ, საჯარო სკოლაში სათანადოდ ჩაცმის წესების დაცვა; ჰიჯაბის ტარების შემთხვევაში, შინაგანაწესით გათვალისწინებული შეღებილი თმით სკოლაში სიარულის აკრძალვის წესის ადმინისტრირების შეუძლებლობა; და, ბოლოს, სოფელ მოხეში მუსლიმური სალოცავის გარშემო არსებული დაპირისპირების სკოლაში გადმოტანის თავიდან აცილება.

მოსწავლის ჩაცმულობასა და მის იერ–სახესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ მოხეს საჯარო სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, მოსწავლე უნდა იმოსებოდეს სადად, ასაკთან შესაფერისად. დაუშვებელია შეუფერხებელი, გამომწვევი, ვულგარული, ავანგარდული ან/და ექსცენტრული ჩაცმულობა. განაწესის თანახმად, დაუშვებელია იმგვარი სამოსელის ტარება, რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი, გამოსახულია

ვულგარული სურათი ან/და კარიკატურა. ასევე, მოსწავლეს ეკრძალება მოკლე შარვლის ტარება, იგი მუდმივად უნდა იყოს მოწესრიგებული. გარდა ამისა, მოსწავლეს ეკრძალება სკოლაში შეღებილი თმით და „მაკიაჟით“ გამოცხადება. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შინაგანაწესი არ შეიცავს რელიგიური იდენტობის გამომხატველი თავსაფრის ტარების აკრძალვის წესს. მეტიც, სახალხო დამცველის აზრით, მუსლიმი ქალის ტრადიციული თავსაბურავი სრულად შეესაბამება შინაგანაწესით მოსწავლის ჩაცმულობისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სოფელ მოხეს საჯარო სკოლაში არ არის დაწესებული სასკოლო ფორმა. ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სკოლას შეუძლია დააწესოს სასკოლო ფორმა მხოლოდ იმგვარად, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის **გამოხატვის თავისუფლება**. გარდა ამისა, იგივე მუხლის შესაბამისად, მოსწავლეს უფლება აქვს დასაბუთებული უარი განაცხადოს სასკოლო ფორმის ტარებაზე.

სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ ქალის ტრადიციული ისლამური თავსაბურავი (ჰიჯაბი) წარმოადგენს ადამიანის რელიგიური იდენტობის გამომხატველ საკმაოდ მნიშვნელოვან სიმბოლოს, რომელიც დაცულია როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ისე საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რელიგიური თვითგამოხატვის თავისუფლებით და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი ტარების მართლზომიერების, მხოლოდ სასკოლო ჩაცმულობის წესის ან მოსწავლის გარეგნული იერ-სახის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე შეფასება. ამდენად, ჰიჯაბის ტარების აკრძალვა, მოსწავლის ჩაცმულობის წესის დაცვის მოტივით, აშკარად წარმოადგენს განმცხადებლის რელიგიური თვითგამოხატვის კონსტიტუციურ თავისუფლებაში გადამეტებულ და არაპროპორციულ ჩარევას, რის გამოც, იგი, სამართლებრივი თვალსაზრისით, გაუმართლებელია.

რაც შეეხება საჯარო სკოლაში რელიგიური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას და სკოლის რელიგიური დაპირისპირებისგან დაცვას, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იგი მართლაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს და ამდენად, გამართლებულ ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, სხვა საკითხია, თუ რამდენად გონივრულად და პროპორციულად იქნა შერჩეული, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, ამ მიზნის მიღწევის ის ღონისძიება, რომელიც ჰიჯაბის ტარების აკრძალვაში უნდა გამოხატულიყო.

ამ თვალსაზრისით მხედველობაშია მისაღები თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის თანახმად, „სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა განმარტებებიდან იკვეთება, რომ სასკოლო სივრცეში **(და არამხოლოდ)** მყოფ პირთა ნაწილი, თავსაფრის ტარების თემას უკავშირებს სკოლის გარეთ მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის საკითხს.“ შესაბამისად, შიდა



აუდიტის დეპარტამენტი ასკვნის, რომ „სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად და რაიმე ნიშნით დაპირისპირების გარეშე წარმართვის უზრუნველსაყოფად, სკოლა უფლებამოსილია იმსჯელოს და კანონით დადგენილი *წესით დაადგინოს დაპირისპირების გამომწვევი შესაძლო მიზეზების შემზღვეველი ნორმები და მოსთხოვოს შინაგანაწესის რეგულაციებს დაქვემდებარებულ პირებს ამ შემზღვევის დაცვა.*“

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, მოცემულ შემთხვევაში, მოსწავლის რელიგიური იდენტობის გამომხატველ თავსაბურავს, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა და იგი სკოლაში რელიგიური დაპირისპირების შესაძლო მიზეზად წარმოაჩინა.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის გაუგებარია, რას ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის ამგვარი დასკვნა. როგორც 2016 წლის დეკემბრის მოვლენებში მონაწილე პირების, მათ შორის, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მიცემული ახსნა–განმარტებებიდან ირკვევა, განმცხადებელი 2016 წლის 16 დეკემბრიდან სკოლაში დადიოდა ჰიჯაბით, რასაც სკოლაში არ გამოუწვევია დაპირისპირება. მაგალითად, ნ. რ.-ს ახსნა–განმარტებაში, რომელიც მან შიდა აუდიტის დეპარტამენტს მისცა, აღნიშნულია, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნებართვით, თ. ბ., 2016 წლის 16 დეკემბრიდანვე ესწრებოდა მე–12 კლასის საგაკვეთილო პროცესს. ამასთან, ახსნა–განმარტების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ თ. ბ. 16 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე თავსაფრით ცხადდებოდა სკოლაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კლასის დამრიგებელს სთხოვა, რომ მას მოსწავლისთვის გადაეცა, რომ სკოლაში თავსაფრით სიარული ეწინააღმდეგებოდა სკოლის შინაგანაწესს, ხოლო, თუ მას რაიმე კითხვა ექნებოდა, მიემართა, პირადად დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის. გარდა ამისა, იგივე ახსნა–განმარტების თანახმად, დირექტორი ჰიჯაბის ტარებას არ მიიჩნევს სკოლაში ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლად და არ მიუთითებს, რომ ამ გარემოებას რაიმე უარყოფითი გავლენა მოეხდინოს სკოლაში არსებულ მდგომარეობაზე. ამრიგად, საქმის გარემოებებიდან ცალსახად ირკვევა, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ჰიჯაბის ტარების აკრძალვა უკავშირდებოდა სკოლის შინაგანაწესის მისეულ აღქმას, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა სოფელ მოხეში, სამლოცველოს გარშემო შექმნილ დაპირისპირებასთან.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სკოლაში დაპირისპირება მოჰყვა სწორედ ნ. რ.-ს გადაწყვეტილებას, მოსწავლისთვის აკრძალა რელიგიური თავსაბურავის ტარება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. რ. საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული მუსლიმური სამლოცველოს და მუსლიმი თემის წინააღმდეგ გამართულ გამოსვლებში და არც სიძულვილის ენის გამოყენებას ერიდებოდა, რაც დასტურდება არაერთი ვიდეოჩანაწერით.<sup>40</sup>

<sup>40</sup> <https://www.youtube.com/watch?v=ZukYaLDPUGI>

ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ მის მიერ მუსლიმი მოსწავლე გოგონასათვის ჰიჯაბის ტარების აკრძალვა, მუსლიმი თემის მიერ განსაკუთრებით მტკივნეულად და სოფელში არსებული რელიგიური დაპირისპირების კონტექსტში იქნა აღქმული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფელ მოხეს საჯარო სკოლას, რომლის მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმი თემის წარმომადგენელია, 2016 წლის სექტემბრამდე მუსლიმი დირექტორი, ხოლო, მოგვიანებით კი, მუსლიმი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხელმძღვანელობდა, რომელიც გაუგებარი მიზეზით შეიცვალა დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლით.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც, პრინციპში, გაამართლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, სკოლაში რელიგიური დაპირისპირების თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, აბსოლუტურად არაპროპორციული, არაგონივრული და კონტრ-პროდუქტიულია.

უფრო მეტიც, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ, ერთი მხრივ, სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოქმედება, ხოლო, მეორე მხრივ, შიდა აუდიტის დასკვნა, რომლითაც სამინისტრო, მაქსიმალურად ცდილობს ნ. რ.-ს ქმედებების გამართლებას, მიუხედავად მის მიერ განხორციელებული არაერთი, მნიშვნელოვანი დარღვევისა, არაა მიმართული სკოლის რელიგიური დაპირისპირებისგან დაცვისკენ. მიგვაჩნია, რომ დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლის მიერ სკოლაში შექმნილი გარემო, პირიქით, შეიცავს რელიგიური დაპირისპირების შემდგომი ესკალაციის და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების წახალისების რეალურ საფრთხეს.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამ ვითარებაში, სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს არა პლურალიზმის გამორიცხვის მეშვეობით სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა შორის არსებული წინააღმდეგობების მიზეზების აღმოფხვრაში, არამედ, დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ურთიერთთემისა და შემწყნარებლური გარემოს უზრუნველყოფაში.<sup>41</sup> სოფელ მოხეს საჯარო სკოლის ადმინისტრაციის ქმედება კი, სწორედ სკოლაში რელიგიური პლურალიზმის გამორიცხვისკენაა მიმართული და ამდენად, აშკარად დისკრიმინაციის წამახალისებელია. დისკრიმინაციის უარყოფითი შედეგი კი, მასშასადამე, განმცხადებლისთვის შესაბამისი უფლებებით (განათლების უფლება და საკუთარი აღმსარებლობის შესაბამისად მოქმედების უფლება) სარგებლობის დისკრიმინაციულ შეზღუდვა, ვერ დადგა მხოლოდ თავად თ. ბ.-ის და მისი თანაკლასელების აქტიური პროტესტის გამო.

## **2.2. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა**

<sup>41</sup> ECtHR, *Serif v. Greece*, no. 38178/97, § 53.

როგორც უკვე აღნიშნა ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის -EMC“ 2016 წლის 27 აპრილის განცხადების ძირითად ადრესატს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი წარმოადგენდა. სწორედ ამ განცხადების საფუძველზე, სამინისტრომ ინფორმაციისათვის მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიალურ ორგანოს – ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელმაც, სამინისტროს განცხადებით, ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა.

რესურსცენტრის მიერ განხორციელებული შემოწმების საფუძველზე, 2016 წლის 2 აგვისტოს წერილით სამინისტრომ EMC-ს აცნობა, რომ რესურსცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვისა და მოკვლევის შედეგად, არ დადასტურდა სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში მოსწავლეების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. სამინისტროს წერილის თანახმად, მოკვლევის პერიოდში, რესურსცენტრის მიერ „...სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან და მუსლიმ მოსწავლეთა მშობლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მათგანი კატეგორიულად უარყოფს სკოლაში რელიგიური ნიშნით მოსწავლეთა დაყოფის ფაქტს, ისინი აცხადებენ, რომ სკოლაში არ არსებობს ცნება „მუსლიმი“ მოსწავლე. პირიქით, მშობლები დიდ პატივისცემას და კეთილგანწყობას გამოხატავენ სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის პედაგოგების მიმართ.“

რაც შეეხება მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების საკითხს, სამინისტროს წერილში აღნიშნულია, რომ სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამაში (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) ერთვება ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მოსწავლის საცხოვრებელი სკოლიდან არანაკლებ 2 კილომეტრითაა დაშორებული. შესაბამისად, სამინისტროს განცხადებით, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაც მოქმედებს ამ პრინციპით და ტრანსპორტირებას 5 მიმართულებით ახორციელებს. მიუხედავად აღნიშნულისა, სამინისტროს წერილიდან მაინც არ არის ბოლომდე გასაგები, თუნდაც ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად, ყველა მუსლიმი მოსწავლე სათანადოდ სარგებლობს თუ არა სასკოლო ტრანსპორტით.

სამინისტრომ არ გაიზიარა ასევე განმცხადებლის ის პრეტენზიები, რომლებიც შეეხებოდა ექსკურსიებზე მხოლოდ ქრისტიანულ ტაძრებში სიარულს და მუსლიმი მოსწავლეებისათვის ქრისტიანული ლიტერატურის იძულებით გაზიარებას. როგორც სამინისტრო EMC-სთვის 2016 წლის 8 აგვისტოს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, ექსკურსიები იგეგმება მოსწავლეთა მშობლების უშუალო მონაწილეობით. ხშირია ექსკურსიები აჭარაში სადაც მრავლადაა წარმოდგენილი მუსლიმური ისტორიული მემკვიდრეობა.

რაც შეეხება ქრისტიანული ლიტერატურის გაზიარების საკითხს, სამინისტროს განცხადებით, მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ხელმძღვანელობენ მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალით და იყენებენ შესაბამის ლიტერატურას. ამასთან, როგორც EMC-სთვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა,

სამინისტრო გამოიციხავს სკოლის პედაგოგების მიერ მოსწავლეებზე ამგვარი ზეწოლის არსებობის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, სამინისტროს წერილში განმარტებულია, რომ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ინფორმაციით, 2013 წლიდან დღემდე არავის მიუმართავს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე, თუმცა ბოლომდე გასაგები არ არის თუნდაც 2013 წელს, ან მანამდე ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევებს, ან ამ შემთხვევების არსებობის თაობაზე განცხადებებს და თუ ჰქონდა ასეთს ადგილი, რატომ არ მიიჩნია სამინისტრომ საჭიროდ მათი შესწავლა.

ამრიგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში არსებულ გარემოსთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავდება განმცხადებლის პოზიციისგან და იგი ცალსახად გამორიცხავს აღნიშნულ სკოლაში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თუნდაც მინიმალური შემთხვევების არსებობასაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრო ასევე არ მიუთითებს ჰქონდა თუ არა ამგვარ შემთხვევებს ადგილი 2013 წელს ან 2012 წლის დაპირისპირების დროს, ისევე, როგორც საჯარო სკოლის რაიმენაირ მონაწილეობას ამ დაპირისპირებაში.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველისთვის 2016 წლის 9 აგვისტოს გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაზუსტების მიზნით, EMC-მ ინფორმაცია ასევე გამოითხოვა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლიდან. EMC-ს სახელზე 2016 წლის 9 ივნისს სკოლის მიერ გამოგზავნილი წერილის თანახმად, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის დირექციამ განიხილა ცენტრის მიერ მიწოდებული მასალები, რომლებიც ეხებოდა საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის, თანასწორობისა და შემწყნარებლობის დაცვის საკითხებს და, სამინისტროსა და რესურსცენტრისგან განსხვავებით, განაცხადა, „...რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით იყო გარკვეული ხარვეზები.“

კერძოდ, წერილიდან ირკვევა, რომ რელიგიის ისტორიის სწავლების დროს უპირატესობა ენიჭებოდა „ქრისტიანულ მოძღვრებას“ და სწორედ ეს გარემოება გახდა ამ საგნის სასკოლო-სასწავლო გეგმიდან ამოღების მიზეზი. ნიგვზიანის საჯარო სკოლის დირექტორი წერილში ასევე აღნიშნავს, რომ საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში „თვალსაჩინო ადგილას“ მხოლოდ ისეთი რესურსებია, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სკოლის დირექტორის წერილის თანახმად, სკოლაში არ დაფიქსირებულა ინდოქტრინაციისა და დისკრიმინაციის ფაქტები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დირექციისთვის არც ერთ მშობელს და მოსწავლეს არ მიუმართავს, თუმცა, ამასთან, დირექტორი აღიარებს, რომ „ამ მიმართულებით მუშაობისას გარკვეულ ხარვეზებს“ მართლაც ჰქონდა ადგილი. უფრო

მეტიც, სკოლის დირექციის განცხადებით, „...რამდენიმე პედაგოგს, რომელთაგანაც დირექციამ საჭიროდ მიიჩნია, მიეცა რჩევები აღნიშნული პრობლემების პრევენციისთვის“ და „...განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, წარედგინა მოხსენებითი ბარათი ამ საკითხებთან დაკავშირებით.“ უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს შესაბამის წერილში ამის თაობაზე არ არის მითითებული, არც ისაა აღნიშნული, რომ სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში შექმნილ ვითარებას სწავლობდა სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სოფელ ნიგვზიანის სკოლის დირექტორი მიიჩნევს, რომ EMC–ს კვლევაში მოყვანილი ფაქტები **„ცალსახად და სუბიექტურად არის დანახული.“** დირექტორის განცხადებით, კვლევაში არ არის ასახული **მუსლიმი თემის წარმომადგენელი უფროსი კლასელების შეხედულებები.**<sup>42</sup> ამასთან ერთად, წერილის თანახმად, სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და წევრების უმრავლესობა არის მუსლიმი თემის წარმომადგენელი, ისევე, როგორც მუნიციპალურ ახალგაზრდულ საკრებულოში ამ სკოლის 3 წარმომადგენლიდან 2 მოსწავლე მუსლიმი თემიდანაა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საჯარო სკოლის დირექტორი წერილში მიუთითებს, რომ **„დისციპლინური წარმოება არც ერთი მასწავლებლის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული, დირექცია შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნებით.“** მაშასადამე, დირექტორის განცხადებიდან ირკვევა, რომ ე.წ. **„სიტყვიერ შენიშვნებს“** ადგილი მართლაც ჰქონდა და, რომ ისინი, სავარაუდოდ, სწორედ რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას უნდა უკავშირდებოდეს.

სახალხო დამცველის მიიჩნევს, რომ სოფელ ნიგვზიანის სკოლის შემთხვევაში, მართალია მოხდა გარკვეული გაუმჯობესება და სკოლაში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის აშკარა ფაქტები, შედარებით ნაკლებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, შიდა აუდიტის სამსახურმა უფრო მეტი გულმოდგინებით შეისწავლოს 2012 წლის დაპირისპირებაში სკოლის მონაწილეობის საკითხი და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისროს კონკრეტულ პირებს.

### **2.3. ქალაქ თბილისის 158–ე საჯარო სკოლა**

ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის – EMC“-ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილ წერილში მოყვანილი ფაქტების შესწავლის მიზნით, თანასწორობის დეპარტამენტმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამინისტროს მიერ 2015 წლის 6 მაისის წერილიდან ირკვევა, რომ

---

<sup>42</sup> ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, რომ 2012 წლის ოქტომბერ–ნოემბრის დაპირისპირებაში, საჯარო სკოლის სწორედ უფროსი კლასის მუსლიმი მოსწავლეების მონაწილეობას აპროტესტებდნენ მუსლიმი თემის წარმომადგენელი მშობლები.

EMC-ს მიერ მოყვანილი ფაქტები შეისწავლა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა და შესაბამისი დასკვნა წარმოუდგინა სახალხო დამცველს.

როგორც შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაშია აღნიშნული, EMC-ს წერილში მითითებული ფაქტების გამოკვლევის მიზნით, დეპარტამენტმა 158-ე საჯარო სკოლიდან გამოითხოვა დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტებები. ამ მასალების შესწავლის საფუძველზე დეპარტამენტმა გამოარკვია, რომ სკოლის თითოეულ კლასის ინფრასტრუქტურაში მართლაც ეკავა ადგილი რელიგიურ კუთხეებს, ხატებს, ჯვრებს, წმინდანთა გამოსახულებებს და სხვა.

ზემოაღნიშნული საკითხების უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა სკოლის შენობის დათვალიერება, რის თაობაზეც 2015 წლის 18 თებერვალს შედგა შესაბამისი ოქმი. ოქმის თანახმად, სკოლის სამასწავლებლოში მოწყობილი იყო რელიგიური კუთხე, ხოლო 13 საკლასო ოთახში განთავსებული იყო რელიგიური სიმბოლოები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ დარღვეული იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. გარდა ამისა, დასკვნის თანახმად, ადგილი ჰქონდა ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს #80/წ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, რომლის თანახმად, სკოლის დირექტორი იცავს საქართველოს კანონმდებლობას და კოდექსით დადგენილ ნორმებს.

დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, „წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იყო შემთხვევა“, როდესაც მუსიკის მასწავლებელი სამასწავლებლოში ხატებთან საკმეველს აკმევედა, რასაც მოსწავლეები ან მშობლები არასდროს შესწრებიათ. მისივე განცხადებით, საკმეველის კმევის ყველა შემთხვევა ხდებოდა საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე, პედაგოგთა ერთობლივი სურვილითა და თანხმობით. გარდა ამისა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, მუსიკის მასწავლებლები მოსწავლეებს „მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით გათვალისწინებულ საგალობლებს“ ასწავლიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ 2014 წლის ნოემბერში, საგაკვეთლო პროცესის დასრულების შემდეგ, პირველი კლასელების დამრიგებლებმა მოსწავლეები (მშობლებთან ერთად) წაიყვანეს ეკლესიაში დალოცვაზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის – ნინო ცოტაძის განმარტებით, დამრიგებლებისგან მიწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული მოხდა მოსწავლეთა მშობლების თხოვნით. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, მუსლიმი მოსწავლეები ასევე იყვნენ ტაძარში, მათ *„დაანთეს სანთელი და მიიღეს სეფისკვერიც, მაგრამ ჯვრის მთხვევისგან თავი შეიკავეს.“ ამასთან, სკოლის*

*ადმინისტრაციის განცხადებით ყოველივე ზემოაღნიშნული მოხდა მუსლიმ მოსწავლეთა (პირველი კლასის მოსწავლეთა, მათსადაც 7–8 წლის ბავშვების) სურვილით.*

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა ასევე გამოარკვია, რომ 2014 წლის 17 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაულზე სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების თხოვნით, სკოლაში მოწვეული იქნა სასულიერო პირი, რომელმაც დალოცა სკოლა და კოლექტივი, რაშიც ყველა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა.

დეპარტამენტმა ასევე გამოარკვია ისიც, რომ სკოლის მე-7 კლასის მუსლიმი მოსწავლე (**12 წლის გოგონა**) დაქორწინდა, რაზეც ადმინისტრაციას რეაგირება არ მოუხდენია. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, რომელიც დეპარტამენტის დასკვნაში იკითხება, სკოლის თანამშრომლები (ზუსტად არ არის მითითებული ვინ) დაუკავშირდნენ ბავშვის მშობლებს და მოიკითხეს მოსწავლის მდგომარეობა, რაზეც მშობლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ იყვნენ მათი შვილის ქორწინების წინააღმდეგი და 12 წლის „გოგონა თავს ბედნიერად გრძნობდა.“ როგორც დასკვნაშია აღნიშნული, სკოლას სხვა არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია.

აუდიტის დეპარტამენტი თავის დასკვნაში, ასევე მიუთითებს, რომ „ვინაიდან, ზემოაღნიშნული გარემოებები შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს მათზე რეაგირების მოხდენა სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის N158 საჯარო სკოლას მისცემოდა მითითება, რომ მოეხდინა რეაგირება დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე და უზრუნველყო სკოლის საქმიანობის კანონშესაბამისობა. ამასთან ერთად, ვინაიდან, დასკვნაში მითითებული გარემოებები, დეპარტამენტის აზრით, შესაძლოა შეიცავდნენ დანაშაულის ნიშნებს, აღნიშნული დასკვნა და საქმის შესაბამისი მასალები ასევე გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით, 158-ე საჯარო სკოლაში, მოწვეულმა ექსპერტებმა, VII, IX და უმცროსი კლასების 66 მოსწავლისათვის ჩაატარეს ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა ბავშვთა უფლებებს. ტრენინგის დროს გამოიკვეთა, რომ შედარებით დაბალი კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ უფროსების ზეგავლენის ქვეშ და **სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ჰქონდათ სტერეოტიპული შეხედულებები**, ისინი იყენებდნენ სიძულვილის ენას, განსაკუთრებით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მისამართით. ტრენინგის დროს ნაჩვენები ვიდეო რგოლების შეფასებისას, მრავალი მათგანი გამოხატავდა **განსხვავებულის მიუღებლობას**, რაც, ცალსახად, უფროსების ქცევის იმიტაციას წარმოადგენდა. თანასწორობისა და ტოლერანტული ღირებულებების მქონე მოსწავლეების რაოდენობა შესამჩნევად მცირე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მოსწავლე რელიგიის შეცვლის იძულების და სკოლაში

მასობრივი ლოცვების წინააღმდეგი იყო, უმეტესობის აზრით, „უცხოელებს“ უნდა ეცხოვრათ „ქართული წესებით“.

ქალაქ თბილისის 158-ე საჯარო სკოლასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი მიესალმება სამინისტროს მიერ რელიგიური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ სამინისტრო უნდა იყოს უფრო მეტად პრო-აქტიური იმისათვის, რომ მოხდეს რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის ფაქტების დროული გამოვლენა და მათზე ეფექტური რეაგირება. მხედველობაშია მისაღები, რომ საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის და დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირებას სამინისტრო, ძირითადად, შესაბამისი საჩივრებით მიმართვის საფუძველზე ახდენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არადომინანტი რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები შემდგომი ვიქტიმიზაციის შიშით, უმეტესად უარს ამბობენ საკუთარი შვილების უფლებების დაცვისთვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნაზე, რაც ხშირად შეუძლებელს ხდის დისკრიმინაციის ფაქტების გამჟღავნებას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია სამინისტრო იყოს უფრო მეტად პრო-აქტიური ამგვარი დარღვევების ფაქტების დროულად გამოვლენისა და აღმოფხვრის თვალსაზრისით.

#### **2.4. ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა**

2014 წლის ივნისის დასაწყისში, იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ გამართულ, რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული საპროტესტო აქციაში ქალაქ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლასის მასწავლებლების მონაწილეობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავიუფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს პიროვნების გამოხატვის თავისუფლებას, მუხლის მე-2 ნაწილი კი პირს ამ უფლებით სარგებლობისას გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას აკისრებს, კერძოდ, ინდივიდმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი გამონათქვამებისგან, რომლებიც შეურაცხმყოფელია და ლახავენ სხვათა უფლებებს.<sup>43</sup>

ამასთან, შემწყნარებლობა, თანასწორობა და სხვათა ღირსების პატივისცემა დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების საძირკველია.<sup>44</sup> სწორედ აქედან გამომდინარე, გარკვეულ საზოგადოებაში, შეიძლება არსებობდეს სანქციები ან აკრძალვა ისეთი გამონათქვამებზე, რომლებიც ავრცელებენ, პროვოცირებას ახდენენ, ახალისებენ ან ამართლებენ სიძულვილს და

<sup>43</sup> *Otto-Preminger-Institut v. Austria*, app. no. 13470/87, 20/09/1994, § 49; *Wingrove v. The United Kingdom*, app. no. 17419/90, 25/11/1996, § 52; UN Human Rights Committee (hrc), CCPR General Comment no. 11: article 20 prohibition of propaganda for war and inciting national, racial or religious hatred, 29 July 1983, available at: <http://www.refworld.org/docid/453883f811.html> [accessed 31 august 2015];

<sup>44</sup> ECtHR, *Gündüz v. Turkey*, app. no. 35071/97, 14/06/2004, § 40;



შეუწყნარებლობას (მათ შორის რელიგიური მოტივით).<sup>45</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სიძულვილის პროვოცირება არ მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება ძალადობისკენ ან სხვა დანაშაულისკენ მოწოდება.<sup>46</sup> ამიტომ ნებისმიერი გამონათქვამი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციით გამტკიცებულ ღირებულებებს, არ არის მე-10 მუხლით დაცული.<sup>47</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლებაზე მკაცრი სტანდარტი ვრცელდება და მას მეტი თავშეკავება მოეთხოვება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც მასწავლებლის მიერ საჯაროდ დაფიქსირებული პირადი შეხედულებები ეწინააღმდეგება იმ იდეებს რისი სწავლებაც მას სკოლაში ევალება, ეს გარემოება, მის მიმართ იწვევს არასანდოობას.<sup>48</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა სკოლის მასწავლებლის საჩივარი, რომელმაც გამოაქვეყნა ანტისემიტური წიგნი, სადაც იგი ჰოლოკოსტს ეჭვქვეშ აყენებდა. ერთ-ერთი ებრაელი მოსწავლის მშობლის საჩივრის საფუძველზე, მასწავლებელი აკადემიური თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიჩნია, რომ მომჩივანის გათავისუფლება ემსახურებოდა ებრაელების რწმენისა და რეპუტაციის დაცვის, ასევე სკოლაში სტერეოტიპებისა და შეუწყნარებლობისგან თავისუფალი გარემოს დამკვიდრების ლეგიტიმურ მიზანს.<sup>49</sup> კომიტეტმა აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, სკოლაში მომუშავე პერსონალს, განსაკუთრებით კი მასწავლებელს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, რამდენადაც ის უშუალოდ ბავშვის სწავლებით არის დაკავებული.<sup>50</sup>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით<sup>51</sup> განსაზღვრულია ქვეყნის ზოგადი წესების კატალოგი, რაც, რიგ შემთხვევებში, მოკლებულია საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და, შესაბამისად, ძირეული რეგულაციის გარეშე რჩება დისკრიმინაციის აკრძალვის, სიძულვილის ენის გამოყენებისა თუ რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის საკითხები. ამასთან, განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას საჭიროებს უმცირესობათა თემს მიკუთვნებულ ბავშვთა ინტეგრაციის საკითხი. ასევე, ყურადსაღებია

<sup>45</sup> ECtHR, *Sürek v. Turkey* (no. 1) [GC], app. no. 26682/95, 08/07/1999, § 62;

<sup>46</sup> ECtHR, *Vejdeland and Others v. Sweden*, app. no. 1813/07, 09/05/2012, § 55;

<sup>47</sup> ECtHR, *Gündüz v. Turkey*, app. no. 35071/97, 14/06/2004, § 51;

<sup>48</sup> ECtHR, *Fernández Martínez v. Spain*, app. no. 56030/07, 12/06/2014, §137, *Siebenhaar v. Germany*, app. no. 18136/02, 20/06/201, § 46;

<sup>49</sup> Malcolm Ross v. Canada, Communication No. 736/1997, U.N. Doc. CCPR/C/70/D/736/1997(2000), §11.5;

<sup>50</sup> Malcolm Ross v. Canada, Communication No. 736/1997, U.N. Doc. CCPR/C/70/D/736/1997(2000), §11.6;

<sup>51</sup> მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ. 2010 წლის 14 ივლისი. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919> [17.03.2016]

ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება, რაც, თავის მხრივ, რასიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით უნდა მოიცავდეს თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და შემწყნარებლობის პრინციპებს. აღნიშნული გულისხმობს როგორც მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას, ისე სასკოლო სახელმძღვანელოთა მონიტორინგს საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული თუ სტერეოტიპული შეხედულებათა აღმოფხვრის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგი ზოგადი წინადადებით:

- უფრო დეტალურად შეისწავლოს საჯარო სკოლებში რელიგიური იდენტობის გამოხატვის თავისუფლების (მათ შორის ქალის ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების) საკითხი და წინამდებარე ზოგადი წინადადების გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო ერთიანი მიდგომა;
- შეისწავლოს სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხი;
- საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურაში რელიგიური ატრიბუტიკის არააკადემიური მიზნების გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა;
- უზრუნველყოს საჯარო სკოლებში სასკოლო საათების დროს რელიგიურ რიტუალში სკოლის მოსწავლეების, ასევე ქრისტიანულ რიტუალებში არაქრისტიანი მოსწავლეების მონაწილეობის სავარაუდო ფაქტების შეფასება, დისციპლინური წარმოების დაწყება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- განსაკუთრებით, რელიგიური ან ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვან რეგიონებში არსებული სკოლების მასწავლებლებისათვის, პრიორიტეტულად, უზრუნველყოს ტრეინინგები ტოლერანტობის და მულტიკულტურული სწავლების მნიშვნელობის თაობაზე;
- სკოლაში გადაამზადოს ერთი პედაგოგი, რომელიც, შემდეგ, თავის მხრივ, ადამიანის უფლებების/თანასწორობის საკითხზე ჩაატარებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, მოსწავლეების მშობლებისათვის;
- დისკრიმინაციის მსხვერპლის გამოკვეთის შემთხვევაში, საჭიროების არსებობისას, გაეწიოს ფსიქოლოგიური დახმარება; მოხდეს დისკრიმინაციის ჩამდენ მასწავლებელთან გასაუბრება და მისი ხელახალი გადაამზადება;

- „მასწავლებლის ეთიკის კოდექსით“ პირდაპირ აიკრძალოს მასწავლებლის მიერ დისკრიმინაციის განხორციელება მოსწავლეთა მიმართ; სტერეოტიპული, არატოლერანტული აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მოსწავლეებში; ასევე, აკრძალოს მასწავლებლის მიერ სიძულვილის ენის გამოყენება სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ, საჯარო სივრცეში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.